ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№14 (1388)

23 ივნისი, 1994 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთიანი, ძლიერი პარტია — ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის!

**13 ივნისს** სახალხო ფრონტის შტაბ—ბინაში შედგა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრეზენტაცია.

„ეროვნული მოძრაობის ინტერესებიდან გამომდინარე სამმა მოწინავე და პასუხისმგებლობის მაქსიმალური გრძნობით აღჭურვილმა პარტიამ — საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ, საქართველოს სახალხო ფრონტმა და „ქარტია 91"-მა გადაწყვიტა გაერთიანება" — განაცხადა პრეზენტაციაზე ნოდარ ნათაძემ. პარტია, უპირველეს ყოვლისა, შეეცდება დააფიქსიროს ყველაზე სწორი, რაციონალური პოლიტიკური კურსი და ეს კურსი დაემყარება ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციას.
ლიტიკისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციას.

ამა წლის 1 მარტის შემდგომ ოპოზიციურ პარტიებს შორის შეიმჩნეოდა მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ ამ მცდელობებმა რეალური შედეგი ვერ გამოიღო; ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი ორგანიზაციული სახის მძლავრი ოპოზიციური ბირთვი. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შექმნა ამ მხრივ პირველი ნაბიჯია ოპოზიციაში ერთიანი პოლიტიკური კონცეფციის შემუშავებისაკენ.

ამ კონცეფციას საფუძვლად დაედება საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის იდეა.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია პარლამენტში მტკიცე პოლიტიკურ ხაზს გაატარებს. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ გაერთიანების შემთხვევაში. დაპირისპირება პარლამენტში მიიღებს უფრო გარკვეულ, ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ სახეს. თუ ადრე ასეთი უთანხმოება პარტიათა შორის კინკლაობას ჩამოგავდა, სავარაუდოა, რომ ახლა იგი იდეათა, კონცეფციათა დაპირისპირების სახეს მიიღებს. საპარლამენტო პარტიებს შორის ისინი, რომელთა შეხედულებები დღესდღეობით ბუნდოვანია, იძულებულნი იქნებიან დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია.



გარდა ამისა, გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას აშკარად ექნება მძლავრი სამართლებრივი ბაზა. სავარაუდოა, რომ იგი უახლოეს მომავალში წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ალტერნატიულ პროგრამას. ასეთი ძალის არსებობის უგუ-
რი განვითარების ალტერნატიულ პროგრამას. ასეთი ძალის არსებობის უგუ-
ლებელყოფა შეუძლებელია არადემოკრატიული მთავრობის მხრიდანაც კი.



და ბოლოს, პრეზენტაციაზე თანათავმჯდომარეებმა — ვახტანგ ძაბირაძემ, ნოდარ ნათაძემ, თედო პაატაშვილმა და პოლიტიკური საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებასა და გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურ დეკლარაციას, რომელიც განსაზღვრავს პარტიის უახლოეს მიზნებს. ამა წლის სექტემბერში კი გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია მოიწვევს ყრილობას.

პარტიის დროებით ხელმძღვანელ ორგანოდ არჩეულია პოლიტიკური საბჭო 15 კაცის შემადგენლობით.

## დღეს ნომერშია

**წმინდანი პარლამენტში**

— ნოდარ გრიგალაშვილი

მეოთხე გვერდზე

**ვნახოთ რას იზამენ ხელისუფალნი**

— სერგო ჯანაშია

მეხუთე გვერდზე

**ომი დამთავრდება, მაგრამ?**

— ბიძინა მგალობლიშვილი

მეთერთმეტე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთიანი, ძლიერი პარტია — ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის!

## შეთანხმება

საქართველოს სახალხო ფრონტის, „ქარტია-91“ (თავისუფალი პარტიისა) და საქართველოს რესპუბლიკური პარტიის გაერთიანების შესახებ:

1. საქართველოს სახალხო ფრონტი, „ქარტია 91“ (თავისუფლების პარტია) და საქართველოს რესპუბლიკური პარტია ერთიანდებიან ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომლის სახელია საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.

2. ეს შეთანხმება გაერთიანებული ყრილობის მიერ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წესდების მიღებამდე ასრულებს პარტიის დროებითი დებულების ფუნქციას.

3. პარტიის დროებითი ხელმძღვანელი ორგანოა პოლიტიკური საბჭო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 15 წევრით. შეთანხმების ხელმომწერი ყოველი პარტია პოლიტიკურ საბჭოში წარმოდგენილია 5 წევრით.

4. პოლიტიკური საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება ამ შეთანხმების, როგორც პარტიის დროებითი დებულების მოქმედების ვადით.

5. პოლიტიკური საბჭო:

— შეიმუშავებს პარტიის მიმდინარე და პერსპექტიულ პოლიტიკას, განსაზღვრავს პოლიტიკური საქმიანობის ტაქტიკას და სტრატეგიას, უზრუნველყოფს პარტიის პოლიტიკის თანმიმდევრულ, დროულ და განუხრელ გატარებას.

— ამზადებს გამაერთიანებელ ყრილობას.

— ირჩევს თანათავმჯდომარეებს

— ამტკიცებს პარტიის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და საშტატო განრიგს.

— განაგებს შეთანხმების ხელმომწერი პოლიტიკური პარტიების ქონებას და ფულად სახსრებს.

— ნიშნავს პარტიის პრესსამსახურის ხელმძღვანელს.

— ქმნის კომისიებს და მუშა ჯგუფებს.

— იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

6. პოლიტიკური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით.

7. პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის.

8. პოლიტიკური საბჭოს მუშაობას თანაბარი უფლებით ხელმძღვანელობს სამი თანათავმჯდომარე (თანათავმჯდომარე პარტიის ზოგადი პოლიტიკის დარგში, თანათავმჯდომარე ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დარგში, თანათავმჯდომარე პარტიის საგარეო ურთიერთობათა დარგში). ისინი რიგრიგობით თავმჯდომარეობენ პოლიტიკური საბჭოს სხდომებსა და ხელს აწერენ მათი თავმჯდომარეობით ჩატარებული სხდომის ოქმს.

9. თანათავმჯდომარეთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ამ შეთანხმების, როგორც პარტიის დროებითი დებულების მოქმედების ვადით.

10. თანათავმჯდომარე პარტიის ზოგადი პოლიტიკის დარგში უძღვება პარტიის პოლიტიკურ საქმიანობას, კოორდინაციას უწევს პარტიის საინფორმაციო სამსახურს.

11. თანათავმჯდომარე ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დარგში ხელმძღვანელობს პარტიის აპარატს, კოორდინაციას უწევს რეგიონული (რაიონული) ორგანიზაციების მუშაობას, პარტიის ფინანსურ საქმეებს და მეურნეობას.

12. თანათავმჯდომარე საგარეო ურთიერთობის დარგში კოორდინაციას უწევს პარტიის ურთიერთობას სხვა სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

13. პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს წევრს შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება კონკრეტული დავალების შესასრულებლად.

14. შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.

ხელმოწერილია 1994 წლის 13 ივნისს, ქ. თბილისში.

**საქართველოს სახალხო ფრონტის სახელით:**

ნოდარ ნათაძე
გოჩა გავაშელი
რომან გოცირიძე
ნოდარ გრიგალაშვილი
შოთა ნადირაშვილი

**„ქარტია 91“ — (თავისუფლების პარტიის) სახელით:**

თედო პაატაშვილი
თენგიზ დიხამინჯია
ირაკლი მელაშვილი
არჩილ მორჩილაძე
მერაბ ურიდია

**საქართველოს რესპუბლიკური პარტიის სახელით:**

ვახტანგ ძაბირაძე
ზურამ ბერიშვილი
დავით ბერძენიშვილი
ოთარ ზოიძე
ვახტანგ ხმალაძე

## გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური დეკლარაცია

საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველმა საბჭომ, „ქარტია-91“ (თავისუფლების პარტია) მმართველმა საბჭომ და რესპუბლიკური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ გაერთიანდნენ ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სახელწოდებით, რომელიც თავის დამფუძნებელ ყრილობას უახლოეს ხანში (ა.წ. სექტემბერში) ჩაატარებს.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია მოქმედებს აღნიშნულ ორგანიზაციათა შეთანხმების საფუძველზე; რომელიც პარტიის დამფუძნებელ ყრილობამდე ასრულებს დროებითი დებულების ფუნქციას.

ვაცნობიერებთ რა პასუხისმგებლობას ღვთის, ერისა და ქვეყნის წინაშე, აგრეთვე ისტორიული მომენტის ჭეშმარიტად ეპოქალურ მნიშვნელობას, ვაცხადებთ, რომ ჩვენი სამშობლოსათვის ამ საბედისწერო ჟამს აუცილებელია საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის შემდეგ პრობლემათა უმთავრესად გადაჭრა:

1. აღდგეს ქართველი ერის ერთიანი ეროვნული ცნობიერება და გამთლიანდეს დაქსაქსულ-გათიშული ეროვნული სხეული.

2. სწორად განისაზღვროს კავკასიის რეგიონში, ევროპა-აზიის მიჯნაზე საქართველოს ისტორიულ სახელმწიფოებრივი ფუნქცია, შემუშავდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინა, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური სტრატეგიული პოლიტიკური კურსის საფუძველი.

3. აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა — განივრცოს საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია მის მთელ ტერიტორიაზე.

4. აღდგეს და რეალურად ამუშავდეს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი და განუხრელად დავიცვათ მისი ზრდისა და განმტკიცების ტენდენცია.

5. რეალური და არა მოჩვენებითი პარლამენტარიზმი იქცეს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უპირველეს გარანტად.

6. დაუყოვნებლივ გატარდეს სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის სტრუქტურული და საკანონმდებლო რეფორმა.

7. სახელმწიფომ უზრუნველყოს მოქალაქეთა მინიმალური სოციალური მოთხოვნილებების სამართლიანი დაკმაყოფილება, მათი სიცოცხლის, ღირსებისა და უფლებების რეალური სამართლებრივი დაცვა.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია უახლოეს ხანში წარუდგენს პარლამენტსა და საზოგადოებას ყველა ამ პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ პროგრამას.

დარწმუნებული ვართ, რომ მიუხედავად დღეს შექმნილი ყოველმხრივი უკიდურესად მძიმე მდგომარეობისა, საქართველოს აქვს არსებობის სულიერი, კულტურულ-ისტორიული, ინტელექტუალური, პოლიტიკური, ბუნებრივი თუ ადამიანური პოტენციალი ქვეყნის სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. სწორედ ამ პოტენციალზე დაყრდნობით, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ყველა სამართლიანი და ცივილიზებული საშუალებით იბრძოლებს ჩამოთვლილ უმთავრეს პრობლემათა გადასაჭრელად, ამასთან, ძალაუფლებისათვის იარაღით ბრძოლას ჩვენ მივიჩნევთ ერისა და ქვეყნის მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაულად.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში იმოქმედებს ერთ ფრაქციად.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია გამოთქვამს გულწრფელი თანამშრომლობის სურვილს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში და მის გარეთ არსებულ ნებისმიერ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, აგრეთვე თავისუფალ ეკონომიკურ სტრუქტურებთან და ნებისმიერ პიროვნებასთან, ვისთვისაც პირად თუ პარტიულ ინტერესებზე მაღლა დგას საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ნოდარ ნათაძე
თედო პაატაშვილი
ვახტანგ ძაბირაძე

თბილისი, 13 ივნისი, 1994 წელი

# გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას მიესალმებიან

## რუსუდან ბერიძე – პარლამენტის სპიკერის მოადგილე

გაერთიანდა სამი პარტია, რომელთაგან თითოეული ძალიან მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის მქონეა. მე საერთოდ ყველანაირი გაერთიანების მომხრე ვარ. ვუსურვებდი ამ პარტიას, რომ მონოლითურ ერთეულად ჩამოყალიბებულიყოს; ისინი ერთად უკეთ მოახერხებენ თავისი პრინციპების დაცვას,არჩევნებშიც თავის სიტყვას იტყვიან. პარლამენტში ძლიერი, მრავალრიცხოვანი ფრაქციის არსებობა თავისთავად მნიშვნელოვანი და ძალზე დადებითი მოვლენაა; როდესაც ხალხმრავალი ფრაქცია თავის აზრს გამოთქვამს, ყველა პოლიტიკური ძალა იძულებულია ანგარიში გაუწიოს მას.

## აკაკი ასათიანი – პარლამენტარი, ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე

მთელი სულით და გულით მივესალმები ამ სამი პარტიის გაერთიანებას. არა მარტო იმიტომ,რომ ქარტიელები ჩემი ძველი მეგობრები არიან, თავად კი ძველი ფრონტელი ვარ და რესპუბლიკელების მიმართაც ყოველთვის გარკვეული სიმპათიები გამაჩნდა, არამედ იმიტომ, რომ პირველ რიგში მისასალმებელია თავად გამსხვილება, კადრების გაერთიანება; სამის ნაცვლად ერთი პარტია ყოველთვის სჯობს. მე ვფიქრობ, რომ ეს გაერთიანება ქვეყნისთვისაც კარგია და მთავრობისთვისაც. ასეთი კავშირების არსებობა თანამედროვე პოლიტიკურ სიტუაციაში გამართლებულია, მე მიმაჩნია, რომ ეს დადებითი ძალაა და მისი მოქმედება შესაბამის შედეგსაც გამოიღებს.

პირადად ჩვენ კი არ ვაპირებთ არავისთან გაერთიანებას.თუ აქეთ შემოგვიერთდება ვინმე, არაფერი გვექნება საწინააღმდეგო. ჩვენ ისეთი სახელი გვქვია, ისეთი იდეების მიმდევრები ვართ და ისეთი ხალხის დაფუძნებულია ტრადიციონალისტთა კავშირი, რომ ეს ორგანიზაცია ყოველთვის დარჩება იმ სახელწოდებით,რომლითაც დღეს არსებობს.

## ირინა სარიშვილი – პარლამენტარი

მე მომხრე ვარ ასეთი გაერთიანების, მითუმეტეს, რომ მათი სახით კარგი პოტენციის ძალები გაერთიანდნენ. მთავარია, ეს კავშირი მყარი აღმოჩნდეს და არ მოხდეს განხეთქილება მათ შორის. მე მგონი, რომ ეს ფაქტი დადებით ცვლილებებს გამოიწვევს პოლიტიკურ არენაზე. მრავალპარტიული სისტემა, როგორც ეს ბევრმა პარლამენტში გაიგო, ისევე არაბუნებრივი და ავის მომტანია, როგორიც ერთპარტიულობა.

ამ სამმა პარტიამ ნიუანსური ცვლილებების გარდა ნიუანსური განსხვავებებიც დათმო და პრინციპებზე გაერთიანდა. მათ მოქმედებას რომ მიბაძავდნენ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, ბევრად უკეთესი იქნებოდა ჩვენი მდგომარეობა, ბევრად უკეთესი პარლამენტი გვეყოლებოდა და ამომრჩეველიც უკეთ გაერკვეოდა იმ „აჯაფსანდალში", რაც დღეს ხდება.

## ირაკლი წერეთელი – პარლამენტარი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე

მივესალმები სამი პოლიტიკური პარტიის გაერთიანებას ერთ პარტიად. გაერთიანების ფაქტი თავისთავად კარგზე მეტყველებს. ეს ნიშნავს, რომ სამმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ერთი ძლიერი ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად დათმეს თავიანთი ვიწრო პარტიული ინტერესები. ეს ნიშნავს საკითხისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას და რაც მეტი ასეთი ფაქტი იქნება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მით უკეთესია ეს ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ძლიერი ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივ აღმავლობას. რაც შეეხება თავად გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას, ჩემის აზრით, აქ თავი მოიყარეს ჯანსაღმა ძალებმა და, რაც მთავარია, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოკვეთილმა ფიგურებმა.

ამ პარტიაში დაახლოებით 14 პოლიტიკური ფიგურაა თავმოყრილი, ასე რომ, ეს პარტია პოლიტიკური ფიგურების მხრივ ყველაზე მრავალრიცხოვანია. საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გამოკვეთილ წევრთა პოზიციები რუსეთის იმპერიასთან დამოკიდებულებაში უახლოვდება ჩვენი პარტიის პოზიციებს. ისინი უაღრესად ეროვნულ ძალას უნდა წარმოადგენდნენ. მიმაჩნია, რომ თავიანთი ბუნებით და მსოფლმხედველობით რესპუბლიკელები დემოკრატები არიან. მათ ხელში ძალაუფლება, ზოგიერთი პარტიისაგან განსხვავებით, საზოგადოებისათვის საშიში არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, არის ჩვენს შორის წინააღმდეგობები, რაც ბუნებრივია, მაგრამ მთლიანობაში მე გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მიმართ, ისევე, როგორც ლიბერალურ-კონსერვატორულ კოალიციაში გაერთიანებული პარტიების მიმართ, უაღრესად დადებითი დამოკიდებულება და კეთილგანწყობა მაქვს.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკურ პარტიას და მის ლიდერებს, წევრებს ვუსურვებ ყველაფერ კარგს ქართველი ერის და საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ძლიერებისა და კეთილდღეობის სასარგებლოდ.

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო სხდომაზე მე პირველი მივესალმე ამ პარტიების გაერთიანებას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი მიესალმება 1994 წლის 13 ივნისს სამი პოლიტიკური ორგანიზაციის: სახალხო ფრონტის, „ქარტია-91"-ის და რესპუბლიკური პარტიის გაერთიანებას. ჩვენ ეს მიგვაჩნია მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად ჩვენი ქვეყნისათვის და ვიმედოვნებთ, რომ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია დაიმკვიდრებს ადგილს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი
1994 წლის 14 ივნისი

### პრესკონფერენცია

# დათმობილია პარტიული ინტერესები სამშობლოს ინტერესებისათვის...

პარასკევს, 17 ივნისს სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაში გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ გამართა პირველი პრეს-კონფერენცია, სადაც ცალსახად განისაზღვრა ახალი ორგანიზაციის მიზნები, რომელთა სათავეშიც საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის იდეაც დგას, გამიჯნა თავისი პოზიცია სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური კურსისაგან და ნათელყო, რომ ახლო მომავალში პარტია ანგარიშგასაწევ ალტერნატივას წარუდგენს საზოგადოებას და ღირსეულ კონკურენციას გაუწევს მთავრობის დღევანდელ კურსს, რის დასტურადაც არსებობის პირველივე დღეებში ედუარდ შევარდნაძისგან ბევრად უფრო მრავლისმთქმელი შეფასება მიიღო, ვიდრე ეს ამ ერთ ფრაზაში იყო გათვალისწინებული.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თანათავმჯდომარეებმა პრეს-კონფერენციაზე აღნიშნეს, რომ დღევანდელ ეტაპზე აუცილებელი იყო გაერთიანებული, მძლავრი ორგანიზაციის შექმნა. ამ სამი პარტიის შერწყმას ხელი შეუწყო მათი ინტერესების თანხვედრამ. „პრობლემათა გადაჭრის გზებიც იდენტური იყო" — განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ. სახალხო ფრონტს, რესპუბლიკელებს და ქარტია — 91-ს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. თუ რამოდენიმე წლის წინ მრავალპარტიულობა მხოლოდ პოლიტიკური თვითდამკვიდრების ფორმა იყო და არ ემსახურებოდა ერთიან, კონკრეტულ მიზნებს, ამჟამად დაისახა რეალური ამოცანები, რომელთა გადასაჭრელად სავალდებულო გახდა გაერთიანება. „ჩვენი შეერთება ამ პროცესების დასაწყისიაო" — აღნიშნა ნ.ნათაძემ.

ბევრს აწუხებს კითხვა, რამდენად მყარი გამოდგება ეს კავშირი და ხომ არ დაიშლება უახლოეს მომავალში უფრო მეტ წვრილ-წვრილ პარტიად, ვიდრე დღეს მასში გაერთიანდა. მითუმეტეს, რომ საქართველოში ასეთი ერთიანობის არცთუ დიდი ტრადიციაა და არც ოდესმე განსაკუთრებული მისწრაფება შეიმჩნეოდა პოლიტიკური ძალების მხრიდან. ხომ არ იქნებოდა სასურველი, რომ პარტიის ნაცვლად შექმნილიყო ბლოკი, იმის გათვალისწინებით, რომ ბლოკის დატოვება მასში გაერთიანებულ ნებისმიერ პარტიას შეუძლია, ხოლო ერთი პარტიიდან გარკვეული ჯგუფის გამოსვლის შემთხვევაში, იგი იძულებული იქნება თავიდან შეაკოწიწოს ახალი პარტია. პრეს-კონფერენციაზე ითქვა, რომ გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას კვებავს არა მხოლოდ საერთო შეხედულებები და შინაგანი მსგავსება, არამედ ის მიზნებიც, რომელთა განხორციელებასაც ემსახურება ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე „ჩვენ გვაქვს გარანტია იმისა, რომ არ დავიშლებით". ვ.ძაბირაძემ კი თქვა, რომ ნებისმიერ ჯგუფს პარტიის შიგნით ექნება საკუთარი აზრის დაცვის შესაძლებლობა, დაშვებული იქნება ფრაქციულობა, ამიტომ პარტიიდან გამოსვლასა და ახალი ორგანიზაციის შექმნისათვის ბრძოლას აზრი აღარ აქვს. ამჟამად კი „გაერთიანება უკვე მოხდა, ახლა უნდა დაიწყოს სტრუქტურული შერწყმა".

პრეს-კონფერენციაზე პარტიის თანათავმჯდომარეებმა ცალსახად დააფიქსირეს თავისი შეხედულებები დღევანდელ პრობლემებთან დაკავშირებით. ნოდარ ნათაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა აფხაზეთში არც იყო და არც ამჟამადაა სწორი. როცა ცხადი გახდა სოხუმის დაცემა, ჩვენ უნდა აგველო დარჩენილი ტერიტორიების გამაგრების და არა მოჩვენებითი მშვიდობიანი მოგვარების კურსი. ეს დასავლეთში სამოქალაქო ომსაც აგვაცილებდა. მისივე თქმით, დღევანდელ ეტაპზე აუცილებელია ამ საკითხში რუსეთის მონაწილეობის პოლიტიკური გზით მაქსიმალურად შეკვეცა. მისი ფაქტორი იმ ზომამდე უნდა შემცირდეს, ხოლო ჩვენი სამხედრო პოტენციალი ისე გაიზარდოს, რომ ქართულ მხარეს შესაძლებლობა მიეცეს აღარ ილაპარაკოს წაგებულის პოზიციიდან.

სასურველია შეიქმნას მტრის მიერ წართმეული ტერიტორიების სახელმწიფო კომიტეტი, რაც ამავე დროს ლტოლვილების ორგანიზაციის საკითხს მოაგვარებს, შეგვინარჩუნებს მათ ერთიანობას. პრობლემას მიენიჭება სახელმწიფო სტატუსი. რუსეთის ფაქტორის შეზღუდვა უმთავრესი უნდა იყოს საქართველოსთვის, მითუმეტეს, რომ ამ სახელმწიფოს ინტერესების სფერო საქართველოში არ შემოიფარგლება მხოლოდ აფხაზეთის მზიანი სანაპიროებით, არამედ უფრო ღრმად, კერძოდ კი ფოთისკენაა მიმართული, რომლის ხელში ჩაგდების შემთხვევაში საქართველო ფაქტობრივად მთლიანად კარგავს შავი ზღვის სანაპიროს.

რაც შეეხება ახალ საპარლამენტო არჩევნებს, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია მათი შემოდგომაზე ჩატარების მომხრეთა რიცხვს არ მიეკუთვნება. მთავარია არა არჩევნები, არამედ მისვლა არჩევნებამდე. მითუმეტეს, რომ პარლამენტს გარეთ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალები არ ფიგურირებენ.

ასევე მიზანშეუწონელია საუბარი მინისტრთა კაბინეტში მონაწილეობის შესახებ. ვახტანგ ძაბირაძის თქმით მას წინ უნდა უძღოდეს ხელისუფლების მოწყობის საკითხი. აუცილებელია იმის გარანტიები, რომ ახალი აღმასრულებელი ხელისუფლება სტაბილური იქნება.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შექმნას თან სდევდა ნოდარ ნათაძის წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციის კამპანია. როგორც თვით ბ-ნმა ნოდარმა აღნიშნა, ამის საფუძველი იყო „სურვილი ჩემი თავდაცვის კომისიიდან მოცილებისა. კამპანია „თეთრი ძაფითაა შეკერილი" და მოსაწყენიც კია". თედო პაატაშვილის კომენტარით კი ეს არის ეროვნული ძალების გამიზნული დისკრედიტაცია, ხოლო ედუარდ შევარდნაძის განცხადებაში კი მე უფრო დავინახავდი შიშს იმისა, რომ შედგა რეალური პოლიტიკური ძალა. სახელმწიფოს მეთაურის კომენტარი „შეერთდა სამი ნეგატიური ძალაო" ამ შეშფოთების კიდევ ერთი დასტურია. თუმცა პრეს-კონფერენციაზე არც მოქალაქეთა კავშირი დაუტოვებიათ შეფასებების გარეშე, თუმცა აქ კომენტარები ცოტა განსხვავებულ, იუმორისტულ პლანში განვითარდა. მოქალაქეთა კავშირს უწოდეს „აწგანსვენებული კომუნისტური პარტიის ჩრდილი", მაგრამ ისიც აღიარეს, რომ ყველა სხვა ჩრდილისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელს განუსაზღვრელი რაოდენობით სარჩოც და საკვებიც სჭირდება.

ასე რომ, გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ დაარსების პირველივე დღეებში მეტ-ნაკლებად გააწონასწორა პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის, უახლოეს მომავალში კი სახელმწიფოს მეთაურის მოქალაქეთა პოლიტიკური ორგანიზაციის დაუგეგმავ გადაადგილებას დიდიდან მცირე დარბაზებშიც თუ გავითვალისწინებთ, პოლიტიკური ვითარება შესაძლებელია საგრძნობლად შეიცვალოს, გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში შესვლის მსურველთა რიცხვი კი უკვე საკმაოდ დიდია. ახალგაზრდობაშიც აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი სწორედ ამ ძალის ირგვლივ მოიყრის თავს. გარკვეული თანამშრომლობის სურვილი კი წინა მთავრობის ზოგიერთმა მხარდამჭერმაც გამოთქვა. ნოდარ ნათაძის თქმით კი, მათი შერჩევა, ვინც მომავალში გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას შეუერთდება, საკმაოდ მკაცრ პირობებს დაეყრდნობა.

ლიკა ერბემლიძე

### ინფორმაცია

## მიიწვიეს საერთაშორისო კონფერენციაზე

**საქართველოს** რესპუბლიკის მთავრობის ყოფილმა ვიცე-პრემიერმა, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის საბჭოს წევრმა ბ-მა **რომან გოცირიძემ** მიიღო შეტყობინება ბრიუსელიდან საჯარო ადმინისტრაციის ევროპული ჯგუფისაგან. ყოფილი ვიცე-პრემიერი მიიწვიეს საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის სექტემბერში ავსტრიაში. კონფერენციაზე განხილული იქნება სახელმწიფო მმართველობის სისტემათა თანამშრომლობის ევოლუცია და პერსპექტივები დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფაქტი. კომენტარი

ნოდარ გრიგალაშვილი

# წმინდანი პარლამენტში

„ირინა სარიშვილს მივმართავ შეკითხვით — რა მონაცემები აქვს მას, რომ აკაკი ბრეგაძე არ ცხოვრობს ხელფასზე?".

ასეთი ლაკონური გამოსვლა მოვისმინეთ ხუთშაბათს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატ აკაკი ბრეგაძისაგან (ეს ის დეპუტატი გახლავთ, რომელიც ჩემი რუბრიკის „ყვითელი ბარათები", ერთ-ერთი ადრესატი გახლდათ).

ქალბატონი ირინა სარიშვილი ამ შეკითხვასთან დაკავშირებით ერთობ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ამ მონაცემების მოსაპოვებლად ბრეგაძეს კვალდაკვალ უნდა სდიოს, რათა დაადგინოს, ეს კაცი რაიმეს ჭამს, სვამს ადამიანივით, თუ ცხოვრობს წყალწითელა ჩიტივით...

თუ მართლა იმ კუპონებით არსებობს ბატონი ბრეგაძე, ხელფასის სახით რომ ეძლევა, უწმინდესი ყოფილა, ანუ, არც ჭამს, არც სვამს, პარლამენტშიც მერცხალივით გადმოფრინდება, (რადგან ტრანსპორტს მისი კუპონები არ ეყოფა) და ელოდება მამაზეციერს, როდის მიიბარებს მის წმინდა სულს...

სხვაგვარად წარმოუდგენელია,რადგან ჩვენი „აგენტის" ცნობით, სოციალისტ აკაკი ბრეგაძის ხელფასი იმ სანთელსაც არ ეყოფა, წმინდანმა დეპუტატმა თავისი სულიერი მამის და მასავით „წმინდანის", ვლადიმერ ულიანოვის სახელზე რომ უნდა დაანთოს განმარტოების ჟამს...

# ლუიზა შაკიაშვილო, შენი ხმა გადმოდიოდა, კვარაცხელიას, ვალერის, შუბლზე ოფლ ჩამოსდიოდა...

ორშაბათს, 20 ივნისს, სატელევიზიო პროგრამაში „პირისპირ" პარლამენტარი ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია ათით ნოლზე დამარცხდა პარლამენტარ ლუიზა შაკიაშვილთან.

გადაცემა ბატონმა ვალერიმ ერთობ ოპტიმისტურად დაიწყო. მრავალ დიალოგში ნაცადმა, როგორც ჩანს, იფიქრა, ამ შაკიაშვილს ისე დავაშაკიკებ, მთელს ეროვნულ მოძრაობას მოვჭრი თავსო, მაგრამ ქალბატონი შაკიაშვილი მოულოდნელად პოლემიკის დიდოსტატი აღმოჩნდა...

ჯერ იყო და კვარაცხელიას სადავეები გამოსტაცა და სახვეწრად გაუხადა საქმე, ორი სიტყვა მეც მათქმევინეო.

მერე და მერე, ისე წაიყვანა დიალოგი, რომ ბატონი ვალერი სულ გაებუტა — მე მთლად დავდუმდებიო.

ბოლოს, იძულებული გახდა თავი ამ სიტყვებით ენუგეშებინა, — ამდენს და ამისთანებს რომ გალაპარაკებ, ეს ჩვენი დროის, (ჩვენი ხელისუფლების) მონაპოვარიაო. რაშიც სავსებით მართალი იყო პატივცემული ჟურნალისტი, მაგრამ მონაპოვარი და დანაკარგი რომ შედარდა ერთმანეთს, დანაკარგმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა შენაძენს...

ას ეთია ამ დიალოგის სამწუხარო დასკვნა...

# მადამ ტუსოს მუზეუმის ქანდაკების კანდიდატი

ჩვენში საკმაო სახელი გაითქვა პარლამენტის სხდომებზე თავისი კურიოზული გამოსვლებითა და იშვიათი ბარიტონის ხმით დეპუტატმა ქართლოს ღარიბაშვილმა. იგი ამავე დროს ცნობილია თავისი განუყრელი ჩიბუხით, რომლით ხელშიც ბოლთისცემისას არც თუ ისე სასიამოვნო ასოციაციებს აღძრავს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მსურველთა შორის.

ბატონი ქართლოსი ამჟამინდელი პარლამენტის უმრავლესობის ერთ-ერთი წარმოჩინებული წევრია. თითქმის არ არის სახელმწიფოს მეთაურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენი ჩიბუხიანი პარლამენტარი აქტიურად არ გამოქომაგებოდეს და თავისი წონიანი სიტყვა არ შეეწიოს. წონიანი სიტყვა კი ნამდვილად აქვს ბატონ ქართლოსს. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ამერიკის პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა, თუ არ ვცდები, პრეზიდენტად არჩევის მილოცვაზე საპასუხოდ ბატონ ქართლოსს და მის დემოკრატიულ პარტიას მადლობის დეპეშა გამოუგზავნა და წარმატებები უსურვა საქართველოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობაში. გახსოვთ ალბათ მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს წევრებსა და პრესის წარმომადგენლებს თუ რა დღე აყარა დიდმა დემოკრატმა, — როგორ თუ ამ ფაქტს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეთ და ქვეყანას არ ამცნეთ ჩემი სახელის მსოფლიო დიდებაო. ისე არც უნდა გვიკვირდეს დეპუტატ ღარიბაშვილის სახელმწიფოს მეთაურისადმი ამგვარი თავმოდრეკილობა და მოწიწება. ვის არ უხილავს თავის დროზე ტელევიზიით ბატონი ქართლოსი იმ თვითმფრინავში, რომელმაც მოსკოვიდან თბილისს ჩამოაფრინა ბატონი ედუარდ შევარდნაძე. ეტყობა ბატონ ქართლოსს მიაჩნია, რომ ის არის საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, თუმცა, როგორც მე ვიცი, იმ დროს მას ჰკუას არავინ ეკითხებოდა და ამ საშვილიშვილო საქმეში კურიერის როლს უფრო ასრულებდა. ეს ასეა თუ ისეა, ამჟამად მნიშვნელობა არცა აქვს, რადგან ბატონი ქართლოსისათვის მთავარი ის არის, თავად როგორ თვლის და ის, თუ თავად როგორ თვლის, მის საქციელშიც კარგად მჟღავნდება. ეტყობა, რახან ფიქრობს, რომ მსოფლიოში უდიდესი პოლიტიკური ფიგურა თვითონ ჩამოიყვანა საქართველოში, მისი ვალია მასთან ერთად კლდეზეც გადაიჩეხოს. თუ ერთგულების პრინციპებით მივუდგებით ამ საქმეს, მაშინ ბატონი ქართლოსის თავდადება მართლაც რომ საქები და შესაშურია, მაგრამ მეორეს მხრივ, ამ პრინციპებით თუ იხელმძღვანელებენ შევარდნაძის ყოფილი და ახლანდელი მიმდევრები, ამ შემთხვევაში კლდეზე გადაჩეხილთა რიცხვი იმდენად გაიზრდება, რომ ჩვენი საწყალი ქვეყანა შესაძლოა მსოფლიოს ყავ-ყორანთა ბუდედ იქცეს.

ამ ბოლო დროს ბატონი ქართლოსი მოგვევლინა ესენგეს ქვეყნების პარლამენტთშორისი ასამბლეის საქართველოს წარმომადგენლად და თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს საქართველო-რუსეთის დამოყვრების ახალ ეპოქაში, ღმერთმა ხელი ნუ მოუმართოს ამ საქმიანობაში, მაგრამ მისდა საუბედუროდ, ბატონი დეპუტატი კურიოზებს ამ მოღვაწეობაშიც ვერ გაურბის. 14 ივნისს ალიონზე „ალიონში" მოგვევლინა ბატონი ქართლოსი და თავისი ულრმესი ლოგიკით გვიმტკიცებდა რუს იმპერიალისტებთან ჩახუტების აუცილებლობას. ოპოზიციას კი ეჯღებოდა, რომ მათ ხელი არ შეეშალათ სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებისათვის ენგურზე რუსის ჯარის ჩაყენების საქმეში. თითქოს ის მამაცხონებული რუსები სულ ოპოზიციის ჭკუაზე დადიოდნენ და ენგურზე ჩვენი ხათრით, ჩვენი ბედკრული საქართველოს საშველად დგებოდნენ, მაგრამ მთავარი კურიოზული აზრი იმ გამოსვლაში სხვა იყო, ბატონმა ქართლოსმა იმის დასამტკიცებლად, რომ სახელმწიფოს მეთაურისა და მისი ამალის მეცადინეობით თითქოს რუსი პოლიტიკოსები უკვე საქართველოს სიყვარულით ითანგებიან, ასეთი არგუმენტი მოიყვანა — რუს პარლამენტარებთან ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ ალა-ფურშეტზე (ანუ ქართულად საპატივსაცემო სუფრაზე — გ.თ.) ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის რუსი ამღვარა და სტალინის სადღეგრძელო შემოუთავაზებია ქართველებისათვის. ესო, გააგრძელა ბატონა ქართლოსმა, სულ თავის ინიციატივით გააკეთა იმ პატიოსანმა კაცმაო და ამით ხაზი გაუსვა დღეს რუსეთის ხელისუფლებაში საქართველოსადმი შებრუნებული დამოკიდებულების გაღრმავებას.

რა შეიძლება ითქვას დღევანდელი პარლამენტის უმრავლესობის ამ აქტიური წევრის ტელევიზიით აღნიშნულ გამოსვლაზე? პირადად მე ცხოვრებაში წნევა არ მქონია და იმ დროს ვიგრძენი წნევის აწევის სიმწარე. მერე ვიფიქრე, ამგვარ კურიოზულ აზრებს სპეციალურად იარაღად იყენებენ ალბათ ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებლები, რათა ინფარქტებითა და წნევით დახოცონ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები და თავს შევუძახე ანკესს ნუ წამოეგები-თქო. მაგრამ მერე სტალინის სადღეგრძელოს შესახებ ამბის მომყოლის ჩიბუხი და მისი შეხედულებების კრედო ეს-ენ-გესა და რუსეთის სამანეთო ზონის შესახებ გამახსენდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ალალად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ბატონმა ქართლოსმა სტალინისა და მისი შექმნილი რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის მიმართ. საოცარი ის არის, რომ ამგვარი შეხედულებების მქონე კაცს რა უნდოდა ეროვნულ მოძრაობაში. რა უნდოდა, თუ არ ვცდები სახალხო ფრონტში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაცია იყო. კაცი, რომელიც განადიდებს რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაპყრობის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორს სტალინს, დღეს კი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს იმავე რუსეთს საქართველოს სუვერენული უფლებების წართმევაში, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, არ უნდა შესულიყო საქართველოს დაკარგული სუვერენიტეტის აღდგენისათვის მებრძოლ ორგანიზაციაში. ეს ფაქტი ბატონი დეპუტატის პიროვნებას არც თუ სახარბიელო კუთხით წარმოაჩენს. ეს ნიშნავს საკუთარი პოზიციის მიჩქმალვას კარიერისტული მიზნების გამო. როგორც ცნობილია, იმ დროს სახალხო ფრონტი მზარდი პოლიტიკური პოპულარობით სარგებლობდა. კარიერის მოსაპოვებლად საკუთარი პოზიციის მიჩქმალვა კი უზნეო კარიერიზმის გზაზე დგომას ნიშნავს. უზნეო კარიერიზმის მიმდევარი კი, ჩემი აზრით, ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს.

მინაწერი: მიუხედავად უამრავი ბოროტებისა და ავკაცობის ჩადენისა, სტალინი, რა თქმა უნდა, მსოფლიოს უძლიერეს დიქტატორად არის აღიარებული და სწორედ ამიტომაც დადგეს მისი სანთლის ქანდაკება მადამ ტუსოს განთქმულ მუზეუმში ლონდონში. რაც შეეხება ბატონ ქართლოს ღარიბაშვილს, თუკი მისი ოცნება ასრულდება და რუსეთის თვალუწვდენელი იმპერია აღდგება, მაშინ მან შესაძლოა არა თუ ეს-ენ-გეს პარლამენტთშორისი ასამბლეის თავმჯდომარეობას, არამედ რუსეთის ახალი იმპერიის პარლამენტის თავმჯდომარეობასაც გამოკრას ხელი და ალბათ მომავალში მადამ ტუსოს მუზეუმში სანთლისაგან ჩამოსხმული ორი ჩიბუხიანი მამაკაცის ქანდაკება იდგება, თუმცა კი მათ დამთვალიერებელთა უდიდეს უმრავლესობას ისევ ამ ქანდაკებებში გამოსახული პიროვნებების მოღვაწეობის წყალობით არც კი ეცოდინებათ, რომ ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ.

გია თვალავაძე

# ვნახოთ, რას იზამენ ხელისუფალნი

## ანუ რატომ ჩაიშალა არჩევნები რუსთავში

მიმდინარე წლის 12 ივნისს ქ.რუსთავში საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის, გმირულად დაღუპული ჟიული შარტავას ნაცვლად უნდა აერჩიათ ახალი დეპუტატი. დეპუტატობის კანდიდატიც რამდენიმე იყო და თითოეული მათგანიც მისი ჭკუის, განათლებულობის, ავტორიტეტისა და რა თქმა უნდა, ჯიბის (აქ ომანიძე ჯობნიდა ყველას) იმედით ყრიდა კენჭს და ყოველ მათგანს ცრკვეული იმედებიც გააჩნდა იმისა, რომ არჩევნებში სხვებზე მეტ ხმას მოაგროვებდა. ყოველ შემთხვევაში, ამას არჩევნების შედეგები ცხადყოფდა, მაგრამ სამწუხაროდ, საქმე აქამდე ვერ მივიდა, არჩევნები ჩაიშალა.

თვითმხილველთა მტკიცებით, დილიდან არჩევნები ნორმალურად წარიმართა, მაგრამ შუადღისათვის საიდანღაც გაჩნდნენ ავტომატიანი, შეიარაღებული პირები, რომლებიც საკუთარი მსუბუქი ავტომანქანებით დაერივნენ საარჩევნო უბნებს და ამომრჩევლების, საარჩევნო კომისიების წევრთა დაშინებით, ჰაერში სროლებით, ზოგან ცემა-ტყეპით, გაწევ-გამოწევით მიაღწიეს იმას, რომ არჩევნები ჩაიშალა, შეშინებულმა ამომრჩევლებმა სახლში ამჯობინეს ყოფნა და საარჩევნო უბნებისკენ გახედვითაც კი არ გაიხედეს.

მაინც, ვინ იყვნენ ეს ავტომატიანები და ვის აძლევდა ხელს არჩევნების ჩაშლა? ამ კითხვაზე პასუხს, ვფიქრობ, ცალსახად თვით სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირიც კი ვერ გასცემს ალბათ, რადგანაც ჩვენს ქაოტურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში მეტად ძნელი გასარკვევია, თუ ვინ ვის უჭერს მხარს,ვინ ვის უგორებს კოჭს და ვინ რითი სუნთქავს. ზოგიერთი ვერსიით, ეს ავტომატიანები მხედრიონელები იყვნენ, ზოგიერთით — ედპ-ს ხალხი, ზოგით კი — დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატის,ომანიძისო. ამ ვერსიებიდან რომელია მართალი ერთმა ღმერთმა უწყის და თვითონ იმან, ვისი ბრძანებითაც მოქმედებდნენ ეს შეიარაღებული პირები. ყოველ შემთხვევაში, ეს არცაა მთავარი. მთავარი ის არის, რომ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, კანონი არ აქვს და თუ აქვს, ამ კანონს არც ზემდგომი იცავს და მეტადრე, არც ქვემდგომი. ყველას ცა ქუდად მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.

ცივილიზებული მსოფლიოსთვის წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია ადამიანის უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნეს, ამავე დროს დემოკრატიის პირველი და უმთავრესი მონაპოვარიც ეს არის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფალნი ბევრს გაყვირიან დემოკრატიას ვაშენებთო, რუსთავში არჩევნებზე მომხდარმა ინციდენტმა (ადამიანის უფლებების შელახვის სხვა ფაქტებზე რომ არაფერი ვთქვათ) აშკარად ცხადყო, რომ დემოკრატიისაგან ჩვენ შორს ვართ და სანამ ძალას ალმართს ვახვნევინებთ, არც არაფერი გვეშველება. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან,რომ ხელისუფლებასაც აძლევდა ხელს არჩევნების ჩაშლა, მაგრამ ფაქტია, არც მას უზრუნია იმისთვის,რომ ეს არ მომხდარიყო. მით უფრო, რომ არჩევნებისწინა დაძაბულობა ამას გვაფიქრებინებდა.

ახლა, ალბათ, ხელისუფლების პრესტიჟის გადასარჩენად, შესაბამისი ორგანოები შეეცდებიან გაარკვიონ ამ ინციდენტის ირგვლივ ყველაფერი, ისიც, თუ ვინ იყვნენ ეს ავტომატიანები და ვისი მითითებით მოქმედებდნენ. შეიძლება საჯაროდ მათი ვინაობაც გააცხადონ და რაღაც ფორმით დასაჯონ კიდეც, არჩევნებიც ხელმეორედ დანიშნონ და მართლაც ორგანიზებულად, ობიექტურად, ყოველგვარი ავტომატებისა და საარჩევნო უბნების დარბევის გარეშე უზრუნველყონ მისი ჩატარება. რა თქმა უნდა, ჩვენი ვარაუდია. ვნახოთ, რას იზამენ ხელისუფალნი.

P.S. აქვე ერთ გარემოებაზეც გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. რუსთავში დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული იყო სახალხო ფრონტის (აწ უკვე გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის) წარმომადგენელი ბატონი ბადრი მეფარიშვილი. კაცი, რომელიც დღიდან აფხაზეთის ომის დაწყებისა, ავტომატით ხელში იბრძოდა მტრის წინააღმდეგ.

აი, ეს ბადრი მეფარიშვილი, ავტომატის მოხმარება მტერთან რომ კარგად იცის, მშვიდად იჯდა სახლში და მოთმინებით ელოდა არჩევნების შედეგებს. არც მას და არცმის მხარდამჭერებს აზრად არ მოსვლიათ იარაღის ძალით ემოქმედათ ამომრჩევლებზე.

შინაურთან კი იარაღს, როგორც ჩანს, სწორედ ის ადამიანები უფრო იყენებენ, „გარეთ“ რომ შიშისაგან კუდამოძუებულნი და შინ კი ამპარტავნულად თავაპრეხილნი დადიან.

სერგო ჯანაშია

# არაჩვეულებრივი ინტერვიუ

1937 წლის 17 თებერვალს დასრულდა დიდი ბოლშევიკისა და საქართველოს მოღალატის გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძის ამქვეყნიური ცხოვრება.

„და მაინც სერგო ორჯონიკიძე კვლავ ჩვენთანაა, მხარში გვიდგას, გვამხნევებს და გვეხმარება დიდი ცხოვრებისეული გაკვეთილებით, თავისი ლეგენდარული საქმეებით ახალი საზოგადოების წინსვლა-განვითარებაში“. (აკაკი ირემაძე „ჩვენი სერგო“ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1986 წ.).

ძნელია არ დაეთანხმო ამ სიტყვებს, რადგან ადამიანი მანამ ცოცხლობს, სანამ მის იდეებს მომხრეები და მის საქმეს გამგრძელებლები ეყოლება. დღევანდელ საქართველოში ნამდვილად არ იგრძნობა „ჩვენი სერგოს“ სულიერი შვილების ნაკლებობა.

„ჩვენი სერგოს“ სიდიადე იმაშიც ნათლად სჩანს, მისი სიტყვები, წარმოთქმული ამ საუკუნის დასაწყისში, დღესაც არანაკლებ ცხოვრებისეულია.

გთავაზობთ ინტერვიუს გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძესთან, მაგრამ ერთი განსხვავებით, კითხვები დასმულია დღეს, პასუხი კი 70 წლის წინანდელია, თუმცა ჩვენი მთავრობის წევრთა აზრებს იმდენად ემთხვევა, რომ ეს განსხვავება თითქმის შეუმჩნეველია.

**— ამხ. გრიგოლ (სერგო), საქართველოს СНГ-ში შესვლა ზიანს ხომ არ მოუტანს საქართველოს დამოუკიდებლობას, რადგან ხშირად გაისმის აზრი, თითქოს რუსეთს СНГ სჭირდება თავისი იმპერიალისტური, კოლონიზატორული მიზნებისათვის. ეტაპად რუსეთის იმპერიის აღსადგენად?**

სერგო ორჯონიკიძე: „ჩვენ უცილობლად და უყოყმანოდ მხარს ვუჭერთ დამოუკიდებელ მუშურ-გლეხურ (უკაცრავად შემეშალა დემოკრატიულ) საქართველოს. საქართველოს არასოდეს არ მისცემია მისი ეროვნული ძალებისა და კულტურის განვითარების ისეთი უსაზღვრო შესაძლებლობანი, როგორც ახლა. საჭირო არ არის იმის მტკიცება და დასაბუთება, რომ მუშურ-გლეხური (ბოდიში ისევ შემეშალა დემოკრატიული) რუსეთი არავითარ რუსოფილურ და კოლონიზატორულ ამოცანას არ ისახავდა და არ ისახავს არც საქართველოში და არც სადმე სხვაგან“. (გ.კ. ორჯონიკიძე ამიერკავკასიის შესახებ. სტატიები და სიტყვები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1986).

**— თქვენი ოპონენტები გაკრიტიკებენ, რომ СНГ-ში შესვლით ჩვენ დავკარგეთ დამოუკიდებლობის გარკვეული ნაწილი. მაგ. СНГ-ს წესდებაში სწერია: საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაცია (კარი I მუხლი IV) თანამშრომლობა თავდაცვით პოლიტიკასა და გარეშე საზღვრების დაცვის დარგში (კარი I; მუხლი IV) საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება (კარი V, მუხლი XIX) საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკის კოორდინაცია (კარი V, მუხლი XIX). ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხს თავმოყვარე სახელმწიფო თვითონ უნდა სწყვეტდეს. რას იტყოდით ამის შესახებ?**

სერგო ორჯონიკიძე: „ნაციონალისტები გაჰყვირიან: დამოუკიდებლობა — ეს ნიშნავს საკუთარ არმიას, საკუთარ საზღვრებს, საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას, ე.ი. საკუთარ სახელმწიფოს ყველა „ატრიბუტსო“, მიუხედავად იმისა, რომ ამ „ატრიბუტების“ დაცვა მათ არ ძალუძთ.

ჩვენ ვამბობთ: დამოუკიდებლობა — ეს არის საერთო საბჭოთა (СНГ-ური) სამხედრო, საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც გაერთიანებულია მძლავრ საბჭოთა (СНГ-ურ) მუშტში“ (იქვე)

**— ნუთუ საქართველოს არ შეუძლია დამოუკიდებლად, სხვის ჩაურევლად მართოს საკუთარი ეკონომიკა, დაიცვას საკუთარი საზღვრები, შექმნას საკუთარი არმია? ეს ხომ დაუჯერებელია.**

სერგო ორჯონიკიძე: „ეკონომიკური ურთიერთობანი რესპუბლიკებს შორის იმდენად გადახლართულია, ერთმანეთთან, რომ ამ რესპუბლიკებს შორის განკერძოებულობა შეუძლებელია.

ურთიერთ ეკონომიკური და სამხედრო დახმარების გარეშე საბჭოთა (СНГ-ს) რესპუბლიკები ვერ იარსებებენ.

ავილოთ საბჭოთა (ბოლოში დემოკრატიული) საქართველო. განა მას შეუძლია იარსებოს რუსეთის პურის გარეშე? განა მას შეუძლია დაიცვას თავისი საზღვრები რუსეთის წითელი არმიის გარეშე? განა მას შეუძლია მოაწყოს თავისი ქართული არმია რუსეთის წითელი არმიის დაუხმარებლად?“ (იქვე)

**— ამხ., სერგო, როგორ ფიქრობთ, რა ეშველება საქართველოს ეკონომიკას?**

სერგო ორჯონიკიძე: „როცა ჩვენს წინაშე დგას ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო ალორძინების ძირითადი ამოცანა, მთელი ჩვენი ღონისძიებების, მთელი ჩვენი რესურსების გაერთიანების ამოცანა იმისათვის, რომ ფეხზე დავაყენოთ ჩვენი მრეწველობა, ჩვენი სოფლის მეურნეობა, — ჩვენს წინაშე დგას შემდეგი საკითხი: როგორ წავალთ წინ შემდგომ?

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ორი აზრი ამ საკითხზე ჩვენს ამხანაგებში, იმ მოქალაქეებში, რომლებიც საბჭოთა (ისევ შემეშალა დემოკრატიული) ხელისუფლების თვალსაზრისზე დგანან, შეუძლებელია არსებობდეს. თქვენ მშვენივრად იცით, რომ ურთიერთდახმარების გარეშე ჩვენ არსებობა არ შეგვიძლია.

სამეურნეო ფრონტის ერთიანობას მოითხოვენ საბჭოთა რესპუბლიკების (ბოდიში კვლავ მერევა. რა ვქნა ჯოჯოხეთში ჯერ გარდაქმნა და დემოკრატია არაა ცნობილი) არსებობის ინტერესები, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური აღორძინების ინტერესები.

ხოლო რაკი ეს ასეა — აუცილებელია ამ ერთობის გაფორმება (СССР იქნება თუ СНГ აბრევიატურას მნიშვნელობა არა აქვს. კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი ტერმინების აღრევაში. ჩვენს დროს „საბჭოთა“ იყო მოდაში, თქვენს დროს თურმე „დემოკრატიული“ შემოსულა)“. (იქვე)

*** შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ჩამატებულია 70 წლის შემდეგ.**

მასალა მოამზადა

მალხაზ ბიწაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი

# საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია

დასასრული
დასაწყისი № 10, 11, 12, 13

## თავი VII
## ადგილობრივი თვითმმართველობა

### მუხლი 132

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში გარანტირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება.

ადგილობრივი თვითმმართველობები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ თავიანთ სტრუქტურას კანონის ფარგლებში. ამტკიცებენ და ახორციელებენ ადგილობრივ ბიუჯეტს, ადგენენ ადგილობრივ გადასახადებს და მოსაკრებლებს, მართავენ მუნიციპალურ საკუთრებას, აგრეთვე, წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა სხვა საკითხს იმის გამოკლებით, რაც კანონით საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

### მუხლი 133

ადგილობრივი თვითმმართველობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მეშვეობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მოსახლეობას შეუძლია გადაწყვეტილებები მიიღოს რეფერენდუმის გზით. ადგილობრივი რეფერენდუმის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 134

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონით შეიძლება დაეკისროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა და სახელმწიფო ადმინისტრაციის ფუნქციების შესრულება.

### მუხლი 135

კონტროლს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონსტიტუციისა და კანონების დაცვაზე ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი.

მინისტრთა კაბინეტი უფლებამოსილია შეაჩეროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონიერებას ან საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს საკითხის შესაბამის სასამართლოში გადაწყვეტამდე; ხოლო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო მოქმედებდა 134-ე მუხლის შესაბამისად, გააუქმოს ისინი.

### მუხლი 136

მინისტრთა კაბინეტს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დათხოვნის უფლება.

### მუხლი 137

მთავრობის წარმომადგენელი რაიონში, აგრეთვე, რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო არის სახელმწიფო რწმუნებული, რომელსაც ნიშნავს მინისტრთა საბჭო.

სახელმწიფოს რწმუნებულის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

## თავი VIII

### მუხლი 138

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი შეტანილ უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების და შესრულების წესი განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 139

პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სახსრების გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში.

### მუხლი 140

სახელმწიფო გადასახადებს და სხვა საბიუჯეტო გადასახდელებს ადგენს კანონი.

სახელმწიფო გადასახადებისაგან გათავისუფლება ან მათი შემცირება შეიძლება მხოლოდ კანონის საფუძველზე.

### მუხლი 141

პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სახელმწიფო სესხის ან სხვა სახელმწიფო საფინანსო ვალდებულებების აღება.

### მუხლი 142

არ შეიძლება სახელმწიფო ხაზინიდან ხელფასის, პენსიის, დახმარების ან სხვა გასამრჯელოს გაცემა, თუ იგი კანონით არ არის გათვალისწინებული.

### მუხლი 143

თვითოეული ვალდებულია გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები და მოსაკრეფლები.

### მუხლი 144

სახელმწიფო კონტროლის ორგანოები ახორციელებენ კონტროლს სახელმწიფო ქონების მართვის, მისი გამოყენების და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიზნობრიობაზე, ეფექტიანობაზე და კანონიერებაზე.

სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა ორგანიზაციის და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით

## თავი IX
## სახელმწიფოს დაცვა

### მუხლი 145

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით იქმნება საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიარაღებული ძალები შეიძლება გამოყენებულ იქნენ კონსტიტუციური წყობის და საზოგადოებრივი უშიშროების დასაცავად.

შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია და სტრუქტურა განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 146

სახელმწიფოს დაცვა ყოველი მოქალაქის ვალია.

მამრობითი სქესის ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე ვალდებულია გაიაროს ვადიანი სამხედრო სამსახური. სამხედრო სამსახურის ვადა, რეჟიმი, აგრეთვე, მისგან გათავისუფლების პირობები განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 147

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო განიხილავს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფოს თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კანონი განსაზღვრავს საბჭოს შემადგენლობას და უფლებამოსილებას

### მუხლი 148

სამხედრო მოსამსახურე არ შეიძლება იყოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ან პოლიტიკური პარტიის წევრი, აგრეთვე, ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურში.

### მუხლი 149

პრეზიდენტი საგარეო აგრესიის ან საგარეო საფრთხის შემთხვევაში აცხადებს სამხედრო მდგომარეობას რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ პარლამენტს

### მუხლი 150

პრეზიდენტი, თუ საფრთხე შეექმნა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციურ წყობას ან მოსახლეობის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში არაუმეტეს 2 თვის ვადით და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ პარლამენტს. პრეზიდენტს პარლამენტის თანხმობით უფლება აქვს გააგრძელოს საგანგებო მდგომარეობის მოქმედება არაუმეტეს 2 თვის ვადით.

### მუხლი 151

სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების წესი, აგრეთვე, ხელისუფლების ორგანოთა ორგანიზაცია სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის დროს განისაზღვრება კანონით.

სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის დროს არ შეიძლება პარლამენტის დათხოვნა ან მორიგი არჩევნების ჩატარება.

## თავი X

### მუხლი 152

კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ პარლამენტში წინადადების შეტანის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5-ს, ან 100000 ამომრჩეველს.

### მუხლი 153

წინადადება კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის წევრთა შემადგენლობის არანაკლებ 2/3-მა.

კანონი კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ უნდა დამტკიცდეს საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმით, თუ მისი მიღებიდან 1 თვის განმავლობაში მოითხოვა პარლამენტის წევრთა 1/5-მა ან 100000-მა ამომრჩეველმა.

### მუხლი 154

მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის გადასინჯვის საგანი.

### მუხლი 155

არ შეიძლება კონსტიტუციის გადასინჯვა სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის დროს.

ბიძინა გოლეთიანი

# ღია საფლავები

(გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №7, 8, 9, 10, 11, 12)

16 იანვარი, 1993 წ.

ჩვენთან შედარებით სიმშვიდეა. შორიდან კი ისმის საარტილერიო სროლები. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლებია ფოქვეშისა და ტამიშის ფრონტებზე. არ ისვენებენ. მათი ვაილოდერი ხან მოსკოვშია პირშეხსნილი და ხანაც გუდაუთაში, მათ არ ენაღვლებათ ახალგაზრდების დახოცვა. კვლავ მოქმედებს დივერსია. გუშინ ააფეთქეს არადუს ხიდის მიმღები პუნქტი, საკონსერვო ქარხნის წყლის მიმწოდებელი სადგური, რის გამოც შეფერხდა ციტრუსების მიღება-გადამუშავება. ოღონდაც რაიმე ზიანი მოგვაყენონ და არაფერს არ ზოგავენ. ჩვენს ბიჭებს კი ნამდვილად მობეზრდათ ასეთი უაზრო დგომა სანგრებში. სოფელში შეიმჩნევა ლტოლვილების დაბრუნება. ქუჩებში კვლავ გამოჩნდნენ ბავშვები და მათი დედიკოები. ოჩამჩირის სკოლებში მეცადინეობა განახლდა. ვნახეთ ერთი თვითმხილველი, რომელმაც გუდაუთიდან გამოაღწია. მან გვიამბო, თუ როგორ ექცევიან აფხაზები ქართველებს. თუ შვილი გვარდიაშია, მშობლებს უხოცავენ, ასე იქცევიან ახალგაზრდები, ხანდაზმულები თურმე უმეტესად შემრიგებლურ პოზიციებზე დგანან. არძინბამ რომ ახალგაზრდობა მოწამლა, ამაში ქალბატონი ადა და ლორიკ მარშანია და ბევრი სხვაც დაგვემოწმება. აფხაზებმა თვითონვე უნდა გაიცნობიერონ, ვინაა მათი მტერი და ვინ — მოყვარე. რამდენად ადრე გაკეთდება ეს, მით უკეთესი.

დღეს ძველით ახალი წლის მეორე დღეა. ბუნებრივია, ბიჭები სუფრასთან იყრიან თავს, ღვინოსაც სვამენ. სოფელში ახალგაზრდები მეტნაკლებად სვამენ. ზოგიერთი ძალიან დაუმეგობრდა ბახუსს და ველარ ანებებს თავს, არადა ისინი სიფხიზლეში ნამდვილად კარგი ადამიანები არიან. ერთ-ერთი მათგანი რონინია. მუშაკაცია, წვრილი ცოლშვილის პატრონი, მაგრამ ღვინის ხშირი სმა დიდ ზიანს აყენებს. ძალზე თავმოყვარეა და თუ ფხიზელია სანგარშიაც მარჯვედაა და იარაღსაც კარგად ხმარობს, ტოლს არავის დაუდებს. რონინმა თურმე მხედრიონელებთან შელაპარაკებისას თქვა, თქვენზე ნაკლები ვინც იყოს, იმას რა ვუთხარიო, იძრო დანა და... საკუთარი მარცხენა ხელის ნეკა თითი გადაიჭრა. შემდეგ მოჭრილი თითი ცხვირსახოცში შეახვია და სასაფლაოზე წაიღო დასამარხავად; იქიდან გამობრუნებულმა სოფლის ექთანს მიაკითხა. შეუხვიეს, სამ დღეში უკვე შეხორცებული ჰქონდა ჭრილობა. მერე განაცხადა, თუ მომიტანთ თბილ ტანსაცმელს და იარაღს წავალ საგუშაგოზე, თუ არა და აქედან ფეხსაც არ გავადგამო. ბიჭებმა რონინის „კაპრიზები“ დააკმაყოფილეს, მან ფორმა მოირგო, ჩალის ზვინზე შეხტა და მოგერიების იმიტაცია გააკეთა, ავტომატის ერთი მჭიდე ბოლომდე დაცალა და შემდეგ კი საგუშაგოს მიაშურა.

ამ დილით რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ გადასცა, რომ დეპუტატმა სარიშვილმა თავის გამოსვლაში პარლამენტის სხდომაზე სასტიკად გააფრთხილა თავდაცვის მინისტრი კიტოვანი და მისი მოქმედება, ხოლო გიორგი ჭანტურიამ განაცხადა, რომ შვიდი იანვრისათვის თითქოს დაგეგმილი იყო სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო იგი ჩაიშალა. ბატონი შევარდნაძე უარყოფს სამხედროებისა და პარლამენტის დაპირისპირების მცდელობას, კიტოვანი კი მოსკოვშია და იფიცება, რომ არავითარ სამხედრო გადატრიალების განზრახვას ადგილი არ ჰქონიაო. ხალხში კი დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ამბავმა. ისე კი გაგრის ჩავარდნის შემდეგ ხალხი ცოტა არ იყოს, ალმაცერად უყურებს ბატონ კიტოვანს, მარტო ის ფაქტები, რომ ის თავის ნებაზე დადის მთავრობის მეთაურთან შეთანხმების გარეშე, ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანებზე.

დღიურს რომ ვწერდი, მუქი მთელს რაიონში გამოირთო, იქნებ კვლავ დივერსიაა?!

18 იანვარი

გუშინ აფხაზებმა ლაბრასთან შემოუტიეს ქართველებს. დიდი ზარალით უკუიქცნენ. შეუპოვრად ცდილობენ ოჩამჩირე სოხუმის მაგისტრალისაკენ გაჭრას. ვერა და ვერ ეგუებიან იმას, რომ ტამიშთან დაკარგეს პოზიციები. ამაოდ უტევენ ხან გუმისთასთან, ხან ფოქვეშში, ხან არადუში, ხანაც ცხენისწყალთან, კოჩარა ისევ „ანექსირებული“ აქვთ, კოჩარელები კი კვლავ „არხეინად“ გრძნობენ თავს საქართველოს სხვადასხვა რაიონში. აფხაზებმა კი კოჩარიდან იმდენი სურსათ-სანოვაგე და ღვინოარაყი გაზიდეს, მთელი ზამთარი ეყოფათ სარჩოდ.

ამ დილით ასმეთაური ემზარი და ბონდო ეწვივნენ ბადრის, ისაუბრეს და ითათბირეს. შემდეგ წავიდნენ და ჯერაც არ ჩანან, ახალი ჩვენთან დღეს არაფერია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრანატმტყორცნების გაცვლას. დღეს ყური მოვკარი, თითქოს ზოგიერთი არადუელი ლაბრაში წასულა და მიტოვებული სახლებიდან ავეჯი გამოუტანიათ. თუ ეს მართალია, შევარცხვინე მათი ქართველობა! ისინი საკადრისად უნდა დაისაჯონ.

ქეთო ფოთს გაემგზავრა. მასთან ლტოლვილებად არიან ხათუნა, მანანას ბიჭები გელა და სერგო. გელა მეხუთე კლასშია, სერგო — მეორეში. ისინი მერხეულიდან არიან. გელას ტატიანა ბებიამ გვარდიელის ფორმა გაუგზავნა, სად იშოვა? ტატიანას ოჩამჩირეში დაენახა გვარდიელის ფორმაში გამოწყობილი ორი პატარა ბიჭი, რომელთაც მხრებზე სათამაშო ავტომატები ჰქონდათ გადაკიდებული. ჩაიფიქრა ჩემს შვილიშვილებსაც ვუშოვი ფორმასო. ერთ საღამოს ცეზარ ჯანელიძე გვესტუმრა, იგი სამორიგეოდ მიდიოდა და თან ამხანაგისათვის ფორმის ტანსაცმელი მიჰქონდა. ბადრისთან შემოიარა. ბადრი და ცეზარი ვახშამს შეუყვნენ. ტატიანამ ფორმა გაშალა, მოიზომა, მიიზომა — „ასე პატარა ფორმა ვისთვის გინდაო?“ — ჩაეკითხა ცეზარს, „ამხანაგისთვისო!“ — უპასუხა ცეზარმა. „მაგას ეს ფორმა პატარა ექნება, გელას უფრო მოერგებაო“. ჩემს ყოფილ მასწავლებელს უარი როგორ ვუთხრაო! — ღიმილით თქვა ცეზარმა.

ასე უშოვა გელას გვარდიელის ფორმა ტატიანა ბებიამ. დღეს ფორმა ქეთომ წაუღო გელას ფოთში. ბადრიმ თქვა: გელა კი მოირგებს გვარდიელის ფორმას, მაგრამ სერგო ბიჭს რა ვუყოთ, ტატიანა ბებიას მისთვის უფრო პატარა ფორმის შოვნა მოუწევსო.

დღეს სოხუმში გაიმართა აფხაზეთში მომუშავე ქართველი მწერლების შეკრება. მათი კავშირი გარდაიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციად. გადაწყვიტეს ბოლომდე იბრძოლონ საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობისათვის.

ბატონმა შევარდნაძემ დღეისათვის ყოველკვირეულ რადიომიმართვაში ხალხისადმი განმარტა, რომ აფხაზეთში ომის დამთავრებაზე ლაპარაკი უნაყოფოა მანამ სანამ, არ გაირკვევა საქართველოს [illegible] ურთიერთობის საკითხი.

(გაგრძელება მე-10 გვ.)

ბედი ქართლისა

# უკან, წინ, თუ საით?

ტარიელ კვანჭილაშვილი

საქართველო დღესაც ახალი გზაჯვარედინის წინ დგას. ისევ დაისვა კითხვა, რა გზით იაროს მან, როგორი არჩევანი გააკეთოს სამომავლოდ, რა უნდა იღონოს საიმისოდ, რომ ქვეყანამ არა მარტო თავი დააღწიოს ამჟამინდელ უბედურებას, არამედ შემდგომაც აღმოჩნდეს, ღირსებაც შეინარჩუნოს და ბედნიერ ქვეყნად იქცეს. ჩვენნაირი ვითარება ბევრ სხვა ქვეყანაშიც ყოფილა ოდესღაც, ასეთი ეტაპები ადრე საქართველოსაც გაუვლია, მაგრამ გონიერებისა და სწორი პოლიტიკის წყალობით გაუმარჯვია.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ბოლო წლებს თუ პოლიტიკური ასპექტით შევხედავთ, მან ქარიშხლები გადაიტანა, საბჭოური სისტემა დაანგრია, საყოველთაო რეფერენდუმით ხალხმა გამოხატა თავისი ნება და ხმა მისცა დამოუკიდებელი განვითარების გზას. ასეთი არჩევანის გაკეთება სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო, რადგან სხვაზე დამოკიდებული, სხვის ნებას დამორჩილებული, სხვისი კარნახით ცხოვრება ბევრს აღარავის უნდოდა. დამოუკიდებელ რესპუბლიკად საქართველოს გამოცხადება ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია. მიუხედავად ბევრი სიძნელისა, ეს ისეთი მონაპოვარია, რომ ყველაფერს გადასწონის. ეს არის ქვეყნის წინსვლის მთავარი მონაპოვარი.

დღეს ამ მონაპოვარზე უარს ვამბობთ და სნგ-ში შევდივართ (ამ ზმნას მომავალ დროში იმიტომ ვხმარობ, რომ პარლამენტს საამისო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია). დარწმუნებული ვარ, რომ რიგიანად ჯერ ბევრმა არ იცის რა არის სნგ. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ამ „თანამეგობრობის" შექმნის ინიციატივა და მონდომება რუსეთიდან მოდის, ხოლო რუსეთი თავის საზიანოს არაფერს გააკეთებს, უნდა ვირწმუნოთ, რომ სნგ არის პროიმპერიული გაერთიანება, რომელსაც ბევრი მიიჩნევს საბჭოთა კავშირის მოდერნიზებულ ვარიანტად, როცა „უფროსი ძმა" ისეთსავე ადგილსა და მდგომარეობას შეინარჩუნებს, როგორიც მას საბჭოთა კავშირში ეკავა. ცდილობენ ჩვენს მოტყუებას და გვეუბნებიან, რომ ეს სულ სხვა რამაა, ეს ახალი შინაარსის თანამეგობრობაა, ხომ ხედავთ, ევროპაც ერთიანდება, ინტეგრაცია იქ სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება, ჩვენ ხომ არ უნდა დავრჩეთ იზოლირებულნიო. ეს არის წმინდა წყლის დემაგოგიური ლაპარაკი, რადგან არც არავინ მოითხოვს საქართველოს იზოლაციას და ღია კარის მტრევა რა საჭიროა, არც ევროგაერთიანებაა იმპერიის აღორძინების საფრთხის შემცველი. ის მართლა მეგობართა, თანასწორუფლებიანთა გაერთიანებაა. სნგ კი ევროგაერთიანებისგან რადიკალურად განსხვავებულია დღესაც და პერსპექტივაშიც. ყველამ კარგად იცის, რომ ბოლო სამი საუკუნის მანძილზე რუსეთი ვისაც „დაუმეგობრდა", ვინც მის ფარგლებში მოექცა, ყველა კოლონიად იქცა. რუსული „ინტეგრაცია" სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი სახის დაკარგვა მასში შემავალი ყველა ქვეყნისათვის.

რუსეთისათვის სახეირო რომ არ იყოს, მაშ ის რატომ მიმართავს ამდენ ხრიკებს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სნგ-ში შეთრევისათვის? მარტო საქართველოს მაგალითიც კმარა იმაში დასარწმუნებლად, თუ რა უდევს გულში რუსეთს, სნგ-ს შესაკოწიწებლად ამდენს რომ ზრუნავს. ჩვენ წინააღმდეგ მან მიმართა ეკონომიკურ ბლოკადას, ფარულ ომს, ფინანსურ დივერსიას, საინფორმაციო ომს, ავტონომიების სეპარატისტული ძალების თავის სასარგებლოდ გამოყენებას, ათასგვარ აკრძალულ ილეთს.

არ ვარგივართ და მაინც ვუნდივართ? რატომ, რის გულისათვის? ეს მან ჩვენზე უკეთესად იცის.

სნგ-ში ჩვენი შეთრევის გულისათვის რუსეთი დიდად გაისარჯა. მისმა ვერაგულმა საქციელმა დაგვაკარგვინა სამაჩაბლო, ომი წაგვაგებინა აფხაზეთში, სამოქალაქო ომის ზღვარზე მიგვიყვანა, დაგვაშშია, გაგვაბანდიტა, ქვეყანა უზნეობის ჭაობში ჩაეფლო, იმედი წაგვართვა, დაგვაჩოქა და უბრალო მოსახლეობა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ურუსეთოდ საქართველო ვერ იარსებებს, მეტი გზა არ არის, უკან უნდა მივბრუნდეთ, რუსეთის ნაწილად უნდა ვიქცეთ, აი მაშინ კი პურიც გვექნება, შაქარიც, კარაქიც, მშვიდობაც, წესრიგიც და სამოთხეც.

ნუთუ ასეთი რამ მართლა ვინმეს სჯერა? ნუთუ ჩვენი მეხსიერება მართლა ასე მოკლეა? რუსეთთან (საბჭოთა კავშირში) არ ვიყავით, რომ ქვეყანა სულ უფრო და უფრო უფსკრულისაკენ მიექანებოდა? შიმშილიც ხომ მაშინ დაიწყო (მაშ რისთვის დასჭირდა სკკპ მიელო ე.წ. სასურსათო პროგრამა?) კომპარტიის გახრწნა (პარტიულ მუშაკთა მექრთამეობა, პარტიაში ფულით შესვლა), სახელმწიფოს რღვევა, ყველა სისაძაგლე მაშინ არ დაიწყო? ასე რომ არ ყოფილიყო, მაშ რისთვის წამოაყენეს „პერესტროიკის" ლოზუნგი? კარგს რა გადაკეთება სჭირია, ცუდი იყო და იმიტომ უნდა გარდაქმნილიყო. რუსეთთან ვიყავით და ვიღუპებოდით, ეხლა კი დაღუპვისაგან ხსნის საშუალებად რუსეთთან დაბრუნებას გვთავაზობენ? მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

სნგ-ში შესვლა არ გვაკმარეს და ახლა „სამანეთო ზონაში" შესვლას მოითხოვენ. რუსულმა მანეთმა და ჩვენმა უთაურობამ ქართული კუპონი ისედაც სიკვდილის პირას მიიყვანა, ახლა კი მისი დასამარებაც მოინდომეს.

ამასაც არ სჯერდებიან და საქართველოში წესრიგის დასამყარებლად დაქირავებული რუსეთის ჯარის ნაწილების გამოყენებასაც მოითხოვენ.

ყოველივე ამას იმით ხსნიან, რომ რუსეთი ძლიერია და ჩვენ მას არ უნდა ვაწყენინოთ, ამ „თეორიით" ამართლებენ ამდენ დათმობას. რუსეთი მუდამ ჩვენზე ძლიერი იქნება, ამიტომ ჩვენ მუდამ მისი სურვილების მორჩილნი უნდა ვიყოთ? პერსპექტივაზე რატომ არავინ ფიქრობს? რუსეთთან მორჩილებით ჩვენ ლუკმა ვიშოვოთ, საქართველოს თავისუფლების საქმე კი ჩვენს მომავალ თაობებს „გადავულოცოთ"?. განა ეს პატიოსნებაა? შექმნილი ვითარება გვარწმუნებს ერთი რამის აუცილებლობაში: საჭიროა რაღაც არაორდინალური, ახალი, ჩვეულებრივისაგან რადიკალურად განსხვავებული გზის ძიება, რაც გადაშენებისაგანაც გვიხსნის და ღირსეულ მომავალთანაც მიგვიყვანს.

ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტები და მახასიათებლები აქვს. ამათგან მთავარია ტერიტორია, დამოუკიდებელი კანონები და მართვა-გამგეობა, ჯარი, ფული და ა.შ. ამათგან ჩვენ ყველაფერი ხელიდან გვეცლება, ტერიტორია გვიმცირდება, ჯარს ვერ (ან არ) ვქმნით, საკუთარ ფულზეც უარს ვამბობთ. რაღა დარჩა ჩვენი დამოუკიდებლობისაგან? მხოლოდ დეკლარაცია?

ვის ვატყუებთ, რატომ ვატყუებთ, ეს ხომ უზნეობაა?!

თბილისში ახლა ხშირად გაიგონებთ გულის გასახეთქ ლაპარაკს: „რა თავში ვიხლი შენს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, თუ შიმშილისა და სიცივისაგან სული ამომხდებაო"! მათი აზრით, გამოდის, რომ სიცივე და შიმშილი დამოუკიდებლობამ მოიტანა. ასე რომ იყოს, მაშინ მსოფლიოს ყველა დამოუკიდებელი ქვეყანა, დიდი თუ პატარა, უნდა შიმშილობდეს, სინამდვილეში კი ისინი დალხინებით ცხოვრობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი შიმშილის მიზეზი სულ სხვა რამაა. სწორედ ამ მიზეზის სწორი მიგნება და მისი აღმოფხვრაა საჭირო და არა მოთქმა, ვიში, წუწუნი.

კოლონიალიზმის მარწუხებიდან ჩვენს საუკუნეში ბევრი [illegible] განთავისუფლდა, მათაც უჭირდათ, მაგრამ არავის მოუთხოვია, გაგვიჭირდა და ამიტომ უკან დავბრუნდეთო. ამისი მკაფიო მაგალითია ინდოეთი, რომელმაც დიდი ბრძოლით დააღწია თავი ბრიტანეთის კოლონიალიზმს, ძალიანაც გაუჭირდა, მაგრამ გონიერმა და ნერიმ ქვეყანა დამოუკიდებლობის გზით წაიყვანეს და არ უფიქრიათ, ისევ ინგლისს მივუკედლოთო. ასევე შეიძლება ითქვას ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებზე, საფრანგეთის კოლონია იყო ალჟირი, რომელმაც ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა და უსაფრანგეთოდ პირველ წლებში გაუჭირდა კიდეც, მაგრამ არც იქ მოსვლია ვინმეს აზრად, რომ ისევ საფრანგეთს მივუერთდეთო. დამოუკიდებლობის ფასი განუზომლად დიდია და კუჭის მოთხოვნა მასზე მაღლა არ უნდა დავაყენოთ. მართალია, გმირობას და თავგანწირვას ყველას ვერ მოსთხოვ (რომც მოსთხოვო, მაინც ამაოდ დაშვრები), მაგრამ ქვეყნის ბედის გადაწყვეტა დამშეული ხალხის განწირულ ნოტაზე არ უნდა ხდებოდეს.

სულ რაღაც ერთი წლის წინათ გვეუბნებოდნენ, რომ სნგ ეფემერული წარმონაქმნია, ის უდღეურად არის ნაშობი და დიდი ხნის არსებობა არ უწერიაო, ჩვენ ამ თანამეგობრობაში არასოდეს შევალთო. დღეს კი ათასნაირი „მოსაზრებით" გვიმტკიცებენ, რომ უმისოდ ჩვენ დავიღუპებითო, რომ საქართველოს ხსნა სნგ-ში შესვლააო. სხვათა შორის, ორივე ეს მოსაზრება ერთიდაიგივე ადამიანისაა, მისგან მოდის. იქნებ ვინმემ მითხრას, რა არის ამაში გასაკვირი, შეიცვალა ვითარება და შეიცვალა აზრიცო. კი ბატონო, დოგმატიზმის მომხრე არც მე ვარ, რეალისტები უნდა ვიყოთ, მოვლენებს შემოქმედებითად უნდა ვუდგებოდეთ, მაგრამ განა რა მოხდა ისეთი ამ ერთი წლის განმავლობაში, რომ ასე 180 გრადუსით შევტრიალებულიყავით?

მოხდენით კი ის მოხდა, რასაც, პირიქით, სნგ-სკენ მისწრაფება საერთოდ უნდა გამოერიცხა. ამას რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ, რომ ამ გაერთიანებაში მთავარი ძალა რუსეთია. ხოლო ამ უკანასკნელმა აფხაზეთის კონფლიქტში ვერაგული და მზაკვრული პოზიცია დაიკავა, ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, ჩვენი დამარცხების მთავარი მიზეზი ის გახდა, ფარულად თუ ცხადად ყველაფერი ილონა ჩვენს დასაჩოქებლად. ეს ყველამ კარგად იცის და მაინც მისკენ მივილტვით? გაუგონარი რამ ხდება, იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, მელას თავისი მახრჩობელა უყვარსო, ჩვენზეა ნათქვამი.

სნგ-ში შესვლა საქართველოსთვის იმიტომაც არის სახიფათო, რომ რუსეთში ჩატარებულმა არჩევნებმა ცხადყო რუსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის იმპერიული მისწრაფება, რაც გამოიხატება ჟირინოვსკისა და მისი პარტიისათვის ხმის მიცემაში. ხოლო ჟირინოვსკი რომ საქართველოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევას აპირებს, ეს ყველასთვის ცნობილია. გამოდის, რომ თუ ჟირინოვსკი მოვა რუსეთის მართვის სჭესთან, მაშინ ჩვენ სსრ კავშირის ვითარებას კი არა, როცა მოკავშირე რესპუბლიკად ვიყავით, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ვითარებას დავუბრუნდებით. მაშინ ყველასათვის ცხადი გახდება, რომ უკან დავბრუნებულვართ.

ამას დაუმატეთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კოზირევის 1994 წლის 13 იანვრის განცხადება იმის შესახებ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე რუსეთის ჯარები ყველგან უნდა დარჩნენო და მიხვდებით, თუ რისთვის აკოწიწებს რუსეთი სნგ-ს, რომ იგი მართლა არის რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის შექმნის რეალური განხორციელების ცდა.

რაც შეეხება ე.წ. სამანეთო ზონაში შესვლას, ამისი დამღუპველობა ჩანს რუსეთის მიერ წაყენებული პირობებიდანაც. თუ სამანეთო ზონაში რუსეთი იმ პირობით მიგვიღებს, რომ ჩვენი ქვეყნის ოქროს მარაგს მას გადავცემთ, თუ ბიუჯეტს ის დაგვიმტკიცებს, თუ გირაოდ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ქონებას მივცემთ, თუ ჩვენი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ერთ-ერთ მოადგილეს ის დანიშნავს (ეს როგორ გავს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცეკას მეორე მდივნის, ე.ი. „ნამესტნიკის" თანამდებობას) და კიდევ სხვა მკაცრი პირობების დაკმაყოფილებას მოგვთხოვს, მაშინ რაღაში გამოიხატება ჩვენი სახელმწიფოებრიობა, საქართველოს დამოუკიდებლობა? გამოდის, რომ ჩვენი დასაკლავი დანა ჩვენივე ხელით უნდა მივართვათ ჩვენს დამკვლელს. მავანმა და მავანმა ეს თუ ვერ გაუგია, მაშინ ისინი რაღა პოლიტიკოსები არიან, ხოლო თუ ესმით და მაინც ამას მოითხოვენ, მაშინ ძალზე მძიმე ვითარებასთან გვქონია საქმე.

ემოციებს თავი რომ დავანებოთ, წყენა და მტრობა რომ დავივიწყოთ და ცივი გონებით განვსაჯოთ, მხოლოდ მომავლის პერსპექტივით რომ ვიმსჯელოთ, მაინც სნგ საქართველოს იმას ვერ მისცემს, რა იმედსაც მასზე ამყარებენ. ეს იმიტომ, რომ თვითონ რუსეთი ის აღარ არის, რაც ადრე, საბჭოთა კავშირის დროს იყო, რომ თვითონაც პოლიტიკურად არასტაბილურია, მოშლილი აქვს ეკონომიკა, თვითონაც გაღატაკებულია და სხვისკენ აქვს ხელი გაწვდილი დახმარების სათხოვნელად. ამასთანავე, ამ ქვეყნის გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე, როცა ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ შეეძლება პროდუქციის გეგმიური გადანაწილება თანამეგობრობის ქვეყნებისათვის, როცა მთლიანად ამუშავდება საბაზრო ეკონომიკის კანონები, მაშინ მოგების პრინციპი იმუშავებს, მხოლოდ ხელსაყრელი ურთიერთობა იარსებებს და არა პოლიტიკისათვის დაქვემდებარებული ეკონომიკური მანიპულაციები. ასეთ ვითარებაში კი საქართველო რუსეთისაგან ვერაფერს მიიღებს, თუ სანაცვლოდ არა მისცა რა. ამ რეალობის გონიერული გათვალისწინებით იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ყოველგვარი სნგ-ს გარეშე, თვით რუსეთთან ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობის განვითარებით შეგვეძლო დავკმაყოფილებულიყავით და არ „განგვესყიდა თავისუფლება", რაც სნგ-ში შესვლას მოყვება.

ხოლო „თავისუფლების განსყიდვა" უეჭველად რომ მოხდება, ამისი ნიშნები უკვე მკვეთრად ჩანს. ასეთთა შორის უნდა დავასახელოთ სამხედრო სფეროში დადებული ხელშეკრულებანი (რუსეთის ჯარების დარჩენა საქართველოს ტერიტორიაზე, სნგ-ს ქვეყნების უშიშროების დაცვის საერთო, გაერთიანებული ღონისძიებანი, საქართველოში წესრიგის დასამყარებლად რუსეთის ჯარის ნაწილების გამოყენების განზრახვა და ა.შ.), ე.წ. სამანეთო ზონაში საქართველოს დაბრუნება, რაც ქართულ ეროვნულ ფულზე უარის თქმას ნიშნავს და ა.შ. თუ ყოველივე ეს, და კიდევ ვინ იცის რა, მართლა მოხდება, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაგან მხოლოდ ლანდი დარჩება. ეს არის ყველაზე მტკივნეული და „წყევლაკრულვიანი კითხვა", თორემ ყველა ქვეყანასთან ნორმალური და კეთილმეზობლური ურთიერთობის წინააღმდეგი ვინ არის.

ამიტომ მიმაჩნია და მჯერა, რომ სნგ-ში შესვლა იმ პირობებით, რაც ამ თანამეგობრობას უდევს საფუძვლად, უკან დაბრუნებაა, მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის კოლონიად გადაქცევაა. ვინმემ დამიმტკიცოს, რომ ეს ასე არაა და სიამოვნებით დავიჯერებ.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე მომუშავე ადამიანები თუ მართლა ქვეყნის გადარჩენაზე ზრუნავენ და არა თავიანთი სავარძლების შენარჩუნებაზე, თუ მათ რუსეთთან ძველებური ურთიერთობა ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ უნდათ, მაშინ მათ უნდა შეიცვალონ აზრი, შეიცვალონ სტრატეგია და ტაქტიკა და საქართველო დამოუკიდებელი განვითარების გზით უნდა წაიყვანონ. ეს არ ნიშნავს ქვეყნის იზოლირებას, ეს არ გამორიცხავს სხვა ქვეყნებთან, ცხადია, რუსეთთანაც, ურთიერთობას, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს მხოლოდ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, მხოლოდ ეროვნული ღი-

დასასრული მე-10 გვ.

## ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან

# გიორგი ლასხიშვილი

ქართულ მემუარულ ლიტერატურაში ცნობილი პუბლიცისტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის მემუარებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი მკვლევართა სამაგიდო წიგნად იქცა და ეს პატივი მას დამსახურებულადაც ხვდა წილად, ვინაიდან მემუარისტი მიუკერძოებლად მოგვითხრობს იმ საზოგადოებრივ-ისტორიულ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში და რომლის უშუალო მონაწილე და ორგანიზატორიც თვით იყო.

მემუარების ქრონოლოგიური ჩარჩოა 1885-1915 წლები. მისი შემდგომი პერიოდი, სამწუხაროდ, დაკარგულია და ეს ადვილი ასახსნელიცაა, ვინაიდან ავტორი მთელი სიცოცხლის მანძილზე როგორც მეფის თვითმპყრობელობის, ისე საბჭოთა ხელისუფლების მხრივ რეპრესიებს განიცდიდა.

გიორგი ლასხიშვილი დაწვრილებით მოგვითხრობს 1910 წლის 30 აპრილს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მთავარი კომიტეტის დარბევასა და მისი წევრების დაპატიმრებაზე, რომელთა შორისაც ბევრი იმდროინდელი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ.

თუ იმ პერიოდის ეპისტოლურ მემკვიდრეობას თვალს გადავავლებთ, ვნახავთ როგორც თანდამთხვევებს მემუარებთან, ასევე იმასაც, თუ რა რეაქცია მოჰყვა ჩვენს საზოგადოებაში ამ ეგრეთწოდებულ „რევოლუციის ლიკვიდაციას". რაც, მთელს იმპერიაში მიმდინარეობდა და ცხადია, მას ვერც საქართველო, ამ იმპერიის პატარა ნაწილიც ვერ ასცდებოდა.

სვიმონ მაჭავარიანი — არჩილ ჯორჯაძეს:

„...როგორც ისმის, გიორგის (გიორგი ლასხიშვილი — ლ. ნ.,) სამსონს ( სამსონ ფირცხალავა) და ილიკოს (ილია ალლაძე) გაგზავნას უპირობენ. გაისარჯვენ კი ჩვენი ინტელიგენტები, დარბიან წარჩინებულ პირებთან. ვნახოთ, რა გამოვა. თუ პირველ ივნისამდე არ გათავდა საქმე — არ მოხერხდა გამოშვება- შემდეგ გაძნელდება. სამინისტროს სთხოვენ ჟანდარმები და შეიძლება წლამდის საპყრობილეში ამყოფონ. ისე კარგად გრძნობენ თავს ჩვენი ტუსაღები. ავად არავინ არის, მაგრამ გაურკვეველი მდგომარეობა მეტად გულს უნაღვლიანებს..." (1910.26.VI).

სოსო ჩიჯავაძე — კირიონ ეპისკოპოსს:

„... აქ საშინელი დევნაა ჩვენი ინტელიგენტებისა. დღევანდლამდის დაჭერილები არიან: ლასხიშვილი გიორგი, ბილანიშვილი შაქრო, სამსონ ფირცხალავა, ილიკო ალლაძე, ადამაშვილი მიშა, ქაიხოსრო ქავთარაძე, — ეხლა დაუჭერიათ სიმონ მაჭავარიანი და იმისი ძმა[illegible]ლოც არა ჩანს საკეთილო. ყველას გადაასახლებენო". (1910.3.IX).

მართლაც, მთავრობა პოლიტიკურ პატიმრებს რუსეთში გადასახლებას უპირებდა:

„... ასე ვისხედით იმ წლის დეკემბრამდე, 7 თვის განმავლობაში, — იგონებს გიორგი ლასხიშვილი, — დეკემბრის დამდეგს გამოგვიცხადეს განაჩენი: ხუთ-ხუთი წლით აგვიკრძალეს კავკასიის სამეფისნაცვლოში ცხოვრება. ორი დღით გაგვათავისუფლეს ციხიდან და მესამე დღეს ჩვენ მიერ არჩეულ ქალაქებში გაგვისტუმრეს. მე საცხოვრებლად ავირჩიე ხარკოვი, სადაც გადავწყვიტე შემთხვევით მესარგებლა და ჩემი თვალები მეწამლნა, რუსეთში ცნობილ პროფესორ-ოკულისტ გირშმანთან. დანარჩენი ჩემი ამხანაგები, თითქმის ყველანი, როსტოვში გადასახლდნენ, მხოლოდ ს.ფირცხალავამ ქალ.ტვერი აირჩია, სადაც იმ დროს ცხოვრობდა მისი მეგობარი, ავადმყოფი სტუდენტი კ.მიქელაძე" (მემუარები, გვ. 273).

მეგობრების საპატიმროში ყოფნის პერიოდში, 18 ნოემბერს, საფრანგეთში გარდაიცვალა მათი თანამებრძოლი და პარტიის აქტიური წევრი გიორგი დეკანოზიშვილი. იმავე წლის 12 დეკემბერს კონსპირაციულად ჩამოასვენეს თბილისში და კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს. მიხეილ წერეთლის ცნობით, „გიორგი იყო იმდენად წინდახედული ადამიანი, რომ ყოველ მოსალოდნელი პრობლემის საპასუხოდ წინდაწინ გეგმას იმუშავებდა. მას სურდა თავისი სხეული აუცილებლად მშობლიურ მიწას მიბარებოდა. ამიტომ თვითონ შეიმუშავა გეგმა მისი გვამის კონსპირაციულად საქართველოში შეტანისა. ეს გეგმა ზუსტად და ყოველნაირი ცერემონიის გარეშე სისრულეში მოიყვანეს გიორგის ნათესავებმა" (მარკოზ ტულუში, გიორგი დეკანოზიშვილი, „კავკასიონი", პარიზი, 1965, №10).

არჩილ ჯორჯაძე — თამარ ფალავანდიშვილს:

„... ისე დაასაფლავეს, რომ არც კი შეგვატყობინეს (მიზეზი გასაგებია — ლ.ნ.), მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მივედით. გიორგი იყო ლასხიშვილი, სამსონი, მე და სხვანი. მზიანი, თბილი ზამთრის დღე იყო. სასაფლაოზე მყუდროება იყო. ადგილი არ მოგვეწონა, საცა დაასაფლავეს. სხვა ჩვენი მეგობრების (ვლადიმერ ლორთქიფანიძე, შიო ჩიტაძე — ლ.ნ.) საფლავებიც ვნახეთ. გიორგი, სამსონი და სხვანი წასასვლელები იყვნენ ჩრდილოეთისაკენ, ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ და ყველანი ვიყავით შეპყრობილნი მწუხარებით, მაგრამ მზე კი საკვირველად ათბობდა ზამთრის სუსხიან ჰაერს და მისი თბილი სხივები დანაღვლიანებულ გულში რაღაც იმედს აღვიძებდნენ" (1911. 8.III).

1931 წელს, ემიგრაციაში — საფრანგეთში მყოფი სამსონ ფირცხალავა გიორგი ლასხიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ამ დაპატიმრების გამო წერს: „...მაშინ მეტეხში ათ თვემდე დაგვკავეს და უკანასკნელ თვეს გიორგისთან ახლოს ვიყავი. ორსავე გვახარებდა ეს და რამდენად გარემოება ნებას გვაძლევდა, დროს [illegible]მრავალფეროვანებდით და მხიარულად ვატარებდით. [illegible]ოდით უკვე, რომ რუსეთში [illegible]ადასახლება გვქონდა გად[illegible]წყვეტილი და წინასწარ ვამზადებდით გამგზავრების გეგმა[illegible].

რამდენიმე დღის შემდეგ გიორგი ხარკოვისკენ გაემგზავრა, მე კი ტვერისკენ, რადგან ჩემთვის საჭირო იყო ტვერში ყოფნა ჩემი მეგობრის მახლობლად. გიორგის კიდევ ხარკოვში ძველი კარგი ნაცნობები ეგულებოდა. როცა ჩემი მეგობარი მოულოდნელად გარდაიცვალა და მე ფარულად მის გასვენებას გავყევი ქუთაისამდე და იქიდან გამოვბრუნდი, როსტოვში გავჩერდი, სადაც ჩვენ გადმოსახლებულთა შორის ს.მაჭავარიანი იყო...

გიორგი მხურვალედ მთხოვდა ხარკოვში გადასვლას. მეც ერთხანს ვაპირებდი იქით წასვლას, მაგრამ მერე თანდათან ჩავრჩი როსტოვში".

თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჟანდარმერია ამ ჩატარებულ ოპერაციას, კარგად ჩანს 1911 წლის 24 მარტს პოლკოვნიკ პასტრიულინის მიერ კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში:

„პატივი მაქვს თქვენს ბრწყინვალებას მოვახსენო, რომ კავკასიის ფარგლებში სამი წლის განმავლობაში გიორგი ლასხიშვილისათვის ცხოვრების აკრძალვას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები, რომლებიც არსებობენ ჩემდამი დაქვემდებარებულ სამმართველოში:

1889 წელს ლასხიშვილი გარიცხულია ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის II კურსიდან ქ. ოდესაში სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის.

1905-1906 წლებში ლასხიშვილი თანამშრომლობდა ქ.თბილისში გაზეთ „ცნობის ფურცელში", რომელიც სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ორგანოს წარმოადგენდა.

1906 წელს ლასხიშვილი სამსონ ფირცხალავასა და ვლადიმერ ლორთქიფანიძესთან ერთად მონაწილეობდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის კომიტეტის რეორგანიზაციაში და ადგენდა ინსტრუქციას მებრძოლი ჯგუფისათვის.

1907 წლის თებერვლის პარტიულ კრებაზე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1906 წელს იგი თავმჯდომარეობდა II პარტიულ ყრილობას.

1909 წლის 2 ივნისს, როგორც სტუმარი, ესწრებოდა სტუდენტთა ყრილობას, რომელიც იმავე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას ეკუთვნოდა. 1909 წლის დეკემბრის ბოლოს თავმჯდომარეობდა თბილისის პარტიის ორგანიზაციების კონფერენციას, რომელზედაც იხილებოდა შემდეგი საკითხები:

1. ნაციონალური ტერიტორიის დაცვა,

2. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დამოკიდებულება სხვა რევოლუციურ პარტიებთან,

3. პარტიის შიდა მოღვაწეობა,

4. ბრძოლა რეაქციასთან.

1910 წლის დასაწყისში, ცენტრალური კომიტეტის წევრთა კრებაზე, რომელზედაც იხილებოდა საკითხი ტერორის, როგორც საშუალების, გამოყენების თაობაზე, რათა შეეჩერებინათ ქართველ მემამულეთა მიერ გადამთიელებზე საკუთარი მიწების გაყიდვა, ლასხიშვილი ტერორის წინააღმდეგი იყო.

1910 წლის 30 აპრილს ღამით, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ლიკვიდაციის დროს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლასხიშვილი გაჩხრეკილი და დაპატიმრებული იქნა. ამასთან, ჩხრეკა უშედეგო აღმოჩნდა. ეს ცნობები უტყუარია. მიმოწერის და სამხედრო ვითარების 23-ე მუხლის შესაბამისად ჩემდამი დაქვემდებარებულ სამმართველოში, ჩავატარე ზემოხსენებული მოქმედება. ეს მტკიცდება იმითაც, რომ ჩატარებული ლიკვიდაციით მოვიპოვეთ მასალა, რამაც მთლიანად დაადასტურა ამ დანაშაულებრივი [illegible] არსებობა.

ზემოხსენებული მიმოწერის საფუძველზე, თქვენმა ბრწყინვალებამ საჭიროდ ჩათვალა მიგვეღო ლასხიშვილის მიმართ ადმინისტრაციული ზომები".

1912 წლის 20 აპრილს გაზეთმა „თემმა" „ახალ ამბებში" შემდეგი ინფორმაცია გამოაქვეყნა:

„როგორც ხმა დადის, მთავრობამ ნება დართო ჩვენს მწერლებს გიორგი ლასხიშვილს და სამსონ ფირცხალავას, ამის შემდეგ იცხოვრონ პირველმა ბაქოში, მეორემ კი კავკავში. გ.ლასხიშვილი ამჟამად ხარკოვშია, ს.ფირცხალავა კი როსტოვში".

ამ პერიოდს ეკუთვნის გიორგი ლასხიშვილის ორი ბარათი სამსონ ფირცხალავასადმი, რომლებსაც ქვემოთ გთავაზობთ:

„ძმაო სამსონ! ტვერში წერილი გამოგიგზავნე იანვრის 15-ის რიცხვებში (თუ არ ვცდები), მაგრამ, როგორც სჩანს, არ მიგიღია, ან შეიძლება მიიღე კიდეც, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ყოფილხარ, როგორც ეხლა გავიგე მხოლოდ, რომ წერილების გუნებაზე არ იქნებოდი. უბედურ მიქელაძის სიკვდილი სწორედ ტრაგიკულია... (ალექსანდრე-კუჭია მიქელაძე — (1878-1911), პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, სამსონ ფირცხალავასა და მიხაკო წერეთლის უახლოესი მეგობარი. მის ხსოვნას მიეძღვნა სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული „გვირგვინი" — ლ.ნ.). ვიცი, როგორი გულითადი მეგობარი იყო შენი და ძმურად, მხურვალედ გიცხადებ ჩემს თანაგრძნობას. მეც ვიცნობდი ცოტათი საცოდავს, გაგონით კი ბევრი კარგი გამიგონია მაზედ. მეტად სამწუხაროა ასეთ იშვიათ ახალგაზრდების დაკარგვა ჩვენს გაჭირვებულ დროსა და მდგომარეობაში. ჩემი წერილით, სამსონ, გატყობინებდი ჩემს ამბებს და გთხოვდი შენი ამბები მოგეწერა: როგორ მოეწყვე, გადაიფიქრე ტვერში ცხოვრება თუ რჩები იქ და სხვა. ამ გამოკითხვას ის მიზანი ჰქონდა, რომ მე მინდოდა შენთვის ერთი წინადადება მომეცა, მაგრამ ეხლა ყველაფერი გამოიცვალა და არ ვიცი, როგორ მიეგებები ჩემს პლანს. ყოველ შემთხვევაში მოგწერ და შენც გასინჯე. საქმე ის არის, რომ მე აზრად მქონდა შენი გადმოყვანა ტვერიდან ხარკოვში. აქ სამუშაოს მოძებნა ძნელია, მაგრამ, ვფიქრობ, არც როსტოვსა და ტვერში უნდა იყოს ადვილი; იქნება უფრო ძნელიც. ყოველ შემთხვევაში ამ მხრით ყველგან, რუსეთში, ჩვენ ერთნაირს პირობებში ვართ; სხვაფრივ — კი ხარკოვში უფრო კარგი იქნება შენთვის. ბევრი კულტურული და განმანათლებელი დაწესებულებაა აქ, რომელთა გაცნობა შეიძლება, ბევრი საჯარო სა-

ინტერესო ლექცია და სხვა ამგვარი. მე ამაების ხალისი არა მაქვს და განმარტოებით ვცხოვრობ ჯერჯერობით, მაგრამ თუ შესტოპე ამ ინტელიგენტურ ცხოვრებაში, ბევრსაც შეიძენ სასარგებლოს და გულსაც კარგად გადააყოლებ. ჩემთვის პირადათ კარგი იყო შენი აქ ჩამოსვლა მით, რომ სულ მარტო არ ვიქნებოდი. აქ არიან ქართველი ექიმები (სამი კაცი), პროზეკემარი (?!) პრივატდოცენტი, მაგრამ ძალიან ძვირად ვნახულობ მათ: სულ თავიანთ საქმეში არიან გართულნი. 200 ქართველ სტუდენტებიდანაც, ძალიან ცოტას, სულ ათიოდე კაცს ვიცნობ და არც მინდა მეტი გავიცნო. არა ვარ რაღაც ამაების გუნებაზე და სულ იმას ვფიქრობ — ნუთუ ნახევარ წლის შემდეგ ვერ მოვახერხებთ დაბრუნებას სამშობლოში? ამ მხრით მეცადინეობა უკვე დავიწყე, მაგრამ სანუგეშო არა არის-რა: მომდის ცნობა, რომ ყველა იძახის — „ეშჩო რანო, ეშჩო რანო“. სამსონ! აქ ერთი ნაფიცი ვექილია ბულგაკოვი, კარგი კაცი, ციმბირში ნამყოფი კოტე მესხთან (არა არტისტთან); ისინი ერთ ქალაქში იყვნენ და დიდი მეგობრები არიან. კოტე მესხი მწერდა, თუ გინდა წერილს გავუგზავნით და გაიცნენ, გამოგადგებაო. მე ის ყველაფერში გამომადგება, ხოლო შენ, თუ მოინდომებ, პატარ-პატარა საქმეებს მოგცემს, ალბათ, ერთი სიტყვით, მოიფიქრე; ჩემის აზრით, აქ საუმჯობესო იქნება (ახლა მით უფრო) შენთვის და თუ შენ არაფერი განსაკუთრებული გარემოება და პირობა არ გაკავებს როსტოვში, მაშინ წამოდი აქეთ... მატერიალურად როგორა ხარ? მე კიდევ მაქვს ორი თვის სამყოფი (თებერვალი და მარტი), მერე ვნახოთ, როგორ წავა საქმე. — არაფერს დაწვრილებით არ გწერ ახლა, ვიჩქარი ეს წერილი დღესვე გამოგიგზავნო და მერე შენ პასუხს ველი. მომიკითხე ქაიხოსრო, შაქრო, სიმონი, მიშა და სხვ. ქაიხოსროს უთხარი, რომ აქ ანტონი არ უნდა იყოს; ესტატეს ძმა (სტუდენტი) იცნობს მას და არაფერი გამიგიაო, მეუბნება; ყოველ შემთხვევაში მოვიკითხავთ, მოვძებნით (ეს ადვილია) და თუ აღმოვაჩინეთ, მის ადრესსაც შეგატყობინებთ. მაშ, ნახვამდის სამსონ.

შენი ერთგული გ.ლასხიშვილი

30 იანვარი 911 წ.

ძმაო სამსონ!

მივიღე შენი ღია ბარათი ხარკოვიდან და გავიგე უცნაური ამბავი, რომ უარი გითხრეს კავკავში გადაყვანაზე. მე კი მეგონა, რომ შენ კარგახანია იქა ხარ! რა მოხდა, აკი თანახმანი იყვნენ?! რასაკვირველია, უნდა ეცადო კიდევ და ბაქოში გადმოხვიდე. მგონი ეს უფრო ადვილი უნდა იყოს.

ვერ წარმოიდგენ, როგორ მეწყინა როცა როსტოვში არავინ დამხვდა. ქინქლაძეს მოვწერე წერილი (რადგან თქვენი ადრესი არავისი არ ვიცოდი) ხუთშაბათს, მე კი კვირას ღამით გავიარე. ალბათ წერილმა დაიგვიანა. დავრჩებოდი, მაგრამ პლაცკარტი მქონდა ნაყიდი და დამენანა, თანაც შენ აღარ მეგულებოდი მანდ. აქ ჩამოვედი 29-ს და მასაქეთ დავეძებ ადგილს; დაპირება არის ბევრი, მაგრამ საქმით არაფერი სჩანს ჯერ. იმედი კი აქ ბევრად მეტი მაქვს. ხარკოვის შემდეგ აქ ჯოჯოხეთია, ვიწვი სიცხეში და მხოლოდ საღამოობით ვიბრუნებ სულს ზღვის პირას. ილიკო აგლაძეს პატარა საქმე უშოვია, ისიც დროებით. — გთხოვ, სამსონ, მომიკითხო მანდაური ჩემი ნაცნობები. კარგად იყავ, შემატყობინე შენი ამბები, თუ რას აპირებ და სხვ.

შენი ერთგული გ.ლასხიშვილი

ჩემი ადრესი: ტორგოვაია, დომ გასანოვა, კვარტირა ატამანოვა. ბაქო. 14.VI. 912“.

1913 წლის გაზაფხულზე გიორგი ლასხიშვილი და სამსონ ფირცხალავა სამშობლოში დაბრუნდნენ და განაგრძეს თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

1922 წლის თებერვალში ისინი მეტეხის საკანში პატიმრობას კვლავ ერთად შეხვდნენ.

„არავითარი წუწუნი. სიმწარე და პესიმისტობა არ ამოხდებოდა მის გულს. ყოველთვის მხნე იყო და სხვებსაც სიმხნევეს გადასცემდა“. — წერს სამსონ ფირცხალავა. გიორგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაათავისუფლეს, მაგრამ 1924 წლის ცნობილი აჯანყების დროს კვლავ დააპატიმრეს და ასე გრძელდებოდა მის გარდაცვალებამდე.

სამსონ ფირცხალავა კი 1922 წელს აიძულეს ემიგრაციაში წასულიყო.

მიუხედავად რეპრესიებისა, გიორგი ლასხიშვილს არასოდეს არ დაუკარგავს იმედი თავისი სამშობლოს მომავლისა. სწორედ მისი სულიერი მხნეობის, ვაჟკაცობისა და ოპტიმიზმის მაჩვენებელია 1931 წელს, მისი გარდაცვალების გამო კ.ქავთარაძის მიერ წარმოთქმული სიტყვაც:

„...იყო ხანა ჩვენი სამშობლოს ბრძოლის მსვლელობაში, როცა ჩეკამ მოსყიდვით თუ ძალდატანებით, მებრძოლ პარტიათა რიგებში დაშლის და არევ-დარევის სულის შეტანა მოიწადინა და აქა-იქ ცოტა რამ მიღწევაც ნახა. ამ მომენტში გიორგი ლასხიშვილიც დაატუსაღეს, ჩეკის სარდაფში ჩააგდეს და მისი სულის წაბილწვაც მიზნათ დაისახეს.

მოხუცო, — ეუბნებოდნენ გიორგის ჩეკას ჯალათები, — შეიბრალე შენი ერი, რომლისადმი სიყვარული და სამსახური ანათემდა და აბრწყინებდა შენ სულს რამდენიმე ათეული წლის სიგრძეზე. ურჩიე მას, რომ ხელი აიღოს უმიზნო ბრძოლაზე და იცნოს და შეეგუოს დამყარებულს სისტემას და არსებულ ვითარებას: შენ გაუწევ ამით დიდ და დაუფასებელ სამსახურს შენს ქვეყანასო, — არწმუნებდნენ ჩეკისტები.

მე, — უპასუხა გიორგი ლასხიშვილმა მათ, — მართლა ათეული წლების სიგრძეზე ერთი მიზანი მინათებდა გზას — ეს ჩემი სამშობლოს თავისუფლება, მისი მკვდრეთით აღდგენა და ბედნიერება იყო. მას თითქოს ველირსე, მარა მოკლე იყო სიხარული. მოდით თქვენ და ერს თავისუფლება წაართვით, ნამუსი ახადეთ, გასაჭირსა და შიმშილში ჩააგდეთ, და მე, მოხუცებულს, რომლის სიცოცხლის დღეები დათვლილია, შემიძლია ჩემ ერს სიჩუმე ვურჩიო, მონობა ვაქო და თავისუფლება ვაძაგო?

ვაძაგო ყველაფერი ის, რაც ჩემი სიცოცხლის აზრი იყო და ვადიდო ის, რის დაძლევას ჩემი ღონე შევწირე?

არა, ბატონებო, — ამთავრებს ის, — ტანჯული ერის შვილი ვარ, და დეე, უკანასკნელი დღეებიც ტანჯვაში დაილიოს, მე ჩემ გაჭირვებულ ქვეყანასთან ვიყავი და ვარ“.

ლეილა ნანიტაშვილი

# თავისუფალი ეკონომიკური ზონა — ხსნის „კუნძული“?

თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე (თეზ-ი) ჩვენში, პირველად სერიოზულად ამ ოთხი წლის წინათ ითქვა და მხედველობაში იყო ქ.ბათუმის გამოცხადება თეზ-ად. შემდგომში ყველაც მოიხსენიეს გაკვრით.. ბოლო ხანებში კი საქართველოს საინფორმაციო საშუალებები კიდევ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხს, თუმცა ამის თაობაზე სპეციალისტების საჯაროდ აზრი არ გამოუთქვამთ. ამასთან, ვინც ბათუმის თეზ-ად გამოცხადების იდეას უჭერს მხარს, მას ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ მთავარ გზად მიიჩნევს, რამაც უნდა ააყვაოს საქართველო. აკეთებენ რა ზერელე ანალოგიებს სხვა ქვეყნების ამგვარ მოვლენებთან და ითვალისწინებენ რა აჭარის განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ამ იდეის მომხრეები ბათუმის თეზ-ად გამოცხადებას ხსნის „კუნძულად“ მიიჩნევენ.

თეზ-ის პერსპექტივებზე საუბრისას თვალში საცემია ერთი გარემოება. კერძოდ, ამ იდეის მომხრეები, მართალია ტელევიზიასა თუ პრესაში რეკლამას უკეთებენ თეზ-ს, მაგრამ ანგარიშს არ უწევენ ისტორიას, პრინციპულად გაურბიან ამის თაობაზე ოპონენტთა გამოთქმულ შენიშვნებზე პასუხს, არ მიმართავენ სპეციალისტებს და გამომდინარე მათი გამოსვლები ზედაპირულ მსჯელობებსა და მოწოდებათა სფეროს ვერ სცილდება.

მკითხველს მიახლოებითი წარმოდგენა რომ შეექმნას თუ რას ეხება საუბარი, გამოვყოფთ სამ ძირითად საკითხს, რომელთა საფუძვლიანი განხილვის გარეშე, აზრი არა აქვს თეზ-ის ავკარგიანობაზე მსჯელობას. ესაა — თეზ-ის მსგავსი მოვლენების ისტორია და მისდამი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება, ბოლო ხანებში ამ საკითხის ირგვლივ გამოთქმული შენიშვნების უგულებელყოფა თეზ-ის მომხრეთა მხრიდან და თეზ-ის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების გათვალისწინება საქართველოს მაგალითზე.

აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, XIX საუკუნის ბოლოს, თეზ-ის მსგავსი რამ იყო საქართველოში ბათუმის პორტო-ფრანკოდ (თავისუფალი პორტი) გამოცხადების სახით, რასაც რვა წელი იარსება და მიუხედავად მოტანილი გარკვეული სიკეთეებისა, საბოლოოდ დადებითად მაინც არ შეფასებულა.

1920 წლის დასაწყისში კი კვლავ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებაზე, რასაც წინ აღუდგა ქართველი საზოგადოება. კერძოდ, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მიიღო დადგენილება და პროტესტით მიმართა როგორც ევროპისა და ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს, ისე საქართველოს მთავრობას და მიაღწია კიდეც ამ გადაწყვეტილების გაუქმებას. ამ საკითხის განხილვისას, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შეფასებით ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პირველი, მეორე და მეხუთე პუნქტები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა:

„1. ბათუმის გამოცხადება პორტო-ფრანკოდ დასცემს აღებ-მიცემობას საქართველოში, რომლის ეკონომიური ცენტრი გადავა ბათუმში, სადაც ბატონ-პატრონობა იქნება უცხოელთა ხელში.

2. ბათუმი იყო და არის ეკონომიური ცენტრი საქართველოსი, რომლის მოსახლეობას ეკარგება უფლება და საშუალება თავისუფალი სარგებლობისა საკუთარი ქალაქით...

3. ყოვლად შეუძლებელია, რომ უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-პორტი ბათუმში გადავიდეს უცხოელთა ხელში, რადგან აქედან საქართველოში მიმავალი კარები და ზღვები მუდამ გახსნილი იქნება“ (იხ. გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, №131, 1920. უფრო ხელმისაწვდომად, გაზეთი „საქართველო“, №3, 1994).

როგორც ვნახეთ, თავის დროზე თეზ-ის მსგავს მოვლენებზე საქართველოში საფუძვლიანი შეშფოთება იყო გამოთქმული და ამ გარემოებას ანგარიში დღესაც უნდა გაეწიოს, მითუმეტეს, რომ აღნიშნული საფრთხე დღესაც ძალაშია.

ისიც უნდა ითქვას, რომ თეზ-ის მომხრეები თავიანთ გამოსვლებში განსხვავებული აზრისა და სპეციალისტების თვალსაზრისების აუცილებლობაზეც მიუთითებენ. მაგრამ რამდენად გულწრფელნი არიან ამაში ეს სხვა საქმეა. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ისინი თავიანთ გამოსვლებში არავითარ ანგარიშს არ უწევენ უკვე არსებულ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, რაც გარკვეულ ეჭვს ბადებს.

ეჭვი აქ შემთხვევით არ გვიხსენებია. იმის მიუხედავად, რომ საუბარია საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქის თეზ-ად გამოცხადებაზე, რაც გარკვეულწილად მის საქართველოს ხელისუფლების კონტროლიდან გასვლის დაკანონებას ნიშნავს, ამ დროს სდუმან სპეციალისტები, თითქოსდა ამის შესახებ არაფერი იცის საქართველოს პარლამენტის შესაბამისმა კომისიამ და ა.შ. ამასთან ერთად მოსკოვური ტელეგადაცემიდან ისმის მუქარა, რომ ბოლოსდაბოლოს თუკი თბილისი არ მისცემს თანხმობას ბათუმის თეზ-ად გამოცხადებაზე, მაშინ ყველაფერს ადგილზე გადაწყვეტენ და ამის თაობაზე უკვე მუშაობენ როგორც უცხოეთიდან მოწვეული ისე ადგილობრივი სპეციალისტები.

ვინ არიან ეს ადგილობრივი სპეციალისტები? რატომ არ გამოთქვამენ თავიანთ დასაბუთებულ აზრს საჯაროდ თეზ-ის სიკეთეებზე ქართული საინფორმაციო საშუალებებით? არიან კი ქართველი სპეციალისტები ამ საკითხებში ჩახედულნი და თუ არიან, მაშინ რატომ არ ჩააყენებენ საქმის კურსში ქართველ მკითხველებსა თუ მსმენელებს? კითხვები საკმაოდაა, სამწუხაროდ მათზე პასუხები ჯერჯერობით არა სჩანს.

ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს თეზ-ის ზოგიერთ მომხრეთა კატეგორიული საუბარი ერთი პიროვნების ფაქტორსა და აჭარის განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე. შეიძლება კი სერიოზულად ჩაითვალოს მსჯელობა ასეთი პრინციპული საკითხის გადაწყვეტისას ერთი პიროვნების ფაქტორის წინ წამოწევით? კიდევ რამდენჯერ უნდა მოვიტეხოთ კისერი, რათა თავი დავაღწიოთ კერპთაყვანისმცემლობას? განა შეიძლება ვისაუბროთ აჭარის განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე და არ გავითვალისწინოთ მთიანი აჭარის ფაქიზი და სათუთი სულის მოსახლეობა, თავისი უნიკალური ადათ-წესებით? არ უნდა გავითვალისწინოთ თუ რა ზეგავლენას მოახდენს ბათუმის თეზ-ად გამოცხადება მათ სულზე? ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სარფის ჭიშკარის უკონტროლო გახსნამ არა მხოლოდ ჩვენი ეკონომიკა გააჩანაგა, არამედ ჩვენი ფსიქიკაც შეარყია. ამასთან დაკავშირებით რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბევრი შრომელი მოწყდა მიწა-მარჩენალს და მეზობელი ქვეყნის განაპირა ქალაქების გზებს გაუდგა ჩარჩობისა და კიდევ სხვა რამეებისათვის.

საქართველოს რომელიმე ქალაქის თეზ-ად გამოცხადების სასარგებლოდ უცხო ქვეყნების ანალოგიები არ გამოგვადგება. ყველას თავისი პრობლემა აქვს და უზარმაზარ ზესახელმწიფოსთან — ჩინეთთან პატარა საქართველოს შედარება თეზ-ის საკითხებთან დაკავშირებით, ყოვლად უადგილო და უსაფუძვლოა. აქ ანგარიში უნდა გაეწიოს სწორედ გეოპოლიტიკურ ფაქტორსაც, რაც ზოგიერთს მხოლოდ თეზ-სთვის ხელსაყრელ ფაქტორად მიაჩნია.

რა თქმა უნდა მხოლოდ ისტორიის გაკვეთილებზე დამყარებითა და გარკვეული ეჭვისა თუ შიშის საფუძველზე, თეზ-ის იდეაზე ხაზის გადასმა, გაუმართლებელი იქნებოდა. მაშინ სადაა გამოსავალი? ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ შესაბამისი ინსტანციები და უწყებები მთელი პასუხისმგებლობითა და გულისყურით უნდა მოეკიდნონ ამ უაღრესად სახელმწიფოებრივ საკითხს და თეზ-ზე მსჯელობა არ უნდა დარჩეს არც სურვილებისა და მოწოდებების ამარად და არც ვინმეს ამბიციების დაკმაყოფილების სფეროდ. უნდა გაიმართოს დისკუსია თეზ-ის ავკარგიანობაზე და ის უნდა გადაიცეს საინფორმაციო საშუალებებით. ამ გზით უნდა აიწონ-დაიწონოს კარგი და ცუდი, ერთმანეთს უნდა შეეჯეროს დადებითი და უარყოფითი, სასარგებლო და საზიანო და ა.შ. და მხოლოდ ამის საფუძველზე, ქვეყნის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მისი რომელიმე ქალაქი შეიძლება გამოცხადდეს თეზ-ად ან თავი იქნას შეკავებული მისგან, თუნდაც ამ ეტაპზე.

ასე გვესახება ჩვენ თეზ-ის პრობლემა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში და ყველა სხვა საშუალება, მითუმეტეს ნახევრად გასაიდუმლოებული ქმედებანი და მოსამზადებელი სამუშაოების გაწევა თვითნებურად, ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ აქტად ჩაითვლება.

მიხეილ მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია საფლავები

მეექვსე გვერდიდან

20 იანვარი

როგორც სოხუმის სამხედრო პრესცენტრის წარმომადგენელმა პიკის საათისათვის ინფორმაციაში გადასცა, დღეს თერთმეტი საათისათვის გულრიფშის რაიონის მაღალმთიან სოფელ საკენში შემოფრინდა რუსეთის ვერტმფრენი „მი-8", რომელსაც ტექნიკური მიზეზების გამო მოუხდა იძულებითი დაჯდომა საკენში, ვერტმფრენის ეკიპაჟმა დახმარება ითხოვა, სოხუმიდან გაუშვეს სამხედრო ვერტმფრენი, რომელმაც ეკიპაჟი სოხუმში გადმოიყვანა. ვერტმფრენის ბორტზე აღმოჩნდა აფხაზეთის ყოფილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლაბახუა და სხვა აფხაზები. ლაბახუამ განაცხადა, რომ სამი დღის წინათ თვითონ იყო არძინბასთან მოსკოვში და ჯანმრთელი დატოვა. ცოტა ხნის შემდეგ საკენში შემოფრინდა რუსეთის მეორე ვერტმფრენი, რომელსაც იქ დაჯდომა უნდოდა, მაგრამ ამის ნება არ მისცეს და სოხუმის აეროპორტში დასვეს. აფხაზეთის პროკურატურა იძიებს ვითარებას...

არადუს მდინარისპირა საგუშაგოებზე კვლავ წამოიწყეს შეტევა აფხაზებმა. საპასუხო ცეცხლით ისინი მალე უკუაქციეს. ჩვენი მხრიდან დაიჭრა ერთი მებრძოლი, ოცმეთაური ვალერი ბენდელიანი და მერვე კლასის მოსწავლე მანუჩარ მუშკუდიანი. ისინი ქუთაისის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ოჯახში აფხაზი გენა ინაბშბა გვეწვია. ქართველი ცოლი ჰყავს. ქართველების სიძეობა არ უშველიდა, მხედრიონელებს რომ ჩავარდნოდა ხელში. ეს ერთერთი იმ ოჯახთაგანია, ხუთი კომლიდან არადუში რომ ცხოვრობენ.

როცა ამ არარსებულ სოფელში (მაშინ აქ გაუვალი ტყე იყო) ქართველები ჩამოსახლდნენ ლეჩხუმიდან, რაჟდენ ახვლედიანს მდინარეში დაეხრჩო უფროსი ვაჟი. რაჟდენს კიდევ სამი ვაჟი ჰყავდა იაშა, ლუდუკი და სურიკო (ისინი ახლა ცალ-ცალკე ცხოვრობენ ოჯახებით) რაჟდენმა გამოკლებული მეოთხე ვაჟის მაგიერ შვილად აიყვანა აფხაზი ვანო (ინაბშბა) ეს ბიჭი რაჟდენთან და მის შვილებთან იზრდებოდა, შემდეგ კი დაცოლშვილდა და ცალკე დასახლდა, მაგრამ მამაშვილობა და ძმობა მათ შორის არ გაწყვეტილა. ვანო გარდაიცვალა, მას დარჩა შვილები, მათ შორის — უფროსი გენა, დღეს რომ გვესტუმრა, შუახნის კაცი. გენასა და ჩვენთან მცხოვრებ სხვა აფხაზებს დიდი დახმარება გაუწია ბადრიმ და მისმა ამხანაგებმა. ისინი ხელშეუხებლები იყვნენ.

გენამ და ბადრიმ ცალკე ისაუბრეს. წასვლისას გენა დავიმარტოხელე, რათა გამეგო მისი და მისი მეზობელი აფხაზების აზრი დღევანდელი ამბების შეფასებაში.

ჩემს შეკითხვაზე თუ რა აზრისაა არძინბას სიკვდილის შესახებ, მან ორაზროვნად მიპასუხა; თუ მისი სიკვდილი საქმეს უშველის, აქამდე რომ მომკვდარიყო, უკეთესი იქნებოდაო. ეს მე ასე გავიგე: თუ ერთი არძინბა მოკვდება, ალბათ მეორე არძინბა გამოჩნდებაო.

შემდეგ აი რა თქვა მან:

არძინბას ბევრ რამეში ვეთანხმები, თუნდაც ეკონომიკურ პოლიტიკაში, ჩვენ გვინდა გადასახადი გადავიხადოთ მხოლოდ ერთხელ და არა სამჯერ, ვის მიაქვს ეს გადასახადები? თბილისს. რაც შეეხება აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას, ხელები გაასავსავა — ეს გამორიცხულიაო, ქვეშეცნეულად გენას თვალებში გამომცდელად ჩავხედე და იქ ამოვიკითხე — ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ყველაფერი გასაგები იყო, გენაც არძინბას მოწამლული იყო.

საინტერესოა რა აზრის იქნება გენა ომის დამთავრების შემდეგ.

21 იანვარი

ათი ათასი ტონა მანდარინი მაინც [illegible] წელს მარტო ოჩამჩირის რაიონმა. რამდენი რამის ყიდვა შეიძლებოდა ამით მარტო ბარტერული გაცვლ[illegible] რამ პატრონი არა და არ გამოჩნდა.

ჩვენს სოფელში მოკრეფილი ნაყოფი დაყრილია სახლების აივანზე და ოთახებში. ნახევრად დამპალი და ყინვისაგან დამზრალი. ერთი თვეა ბადრი მპირდება, თქვენ მხოლოდ მოკრიფეთ და მე ჩავაბარებო. ვიწვალეთ, გავისარჯეთ, მაგრამ ხან შუქის უქონლობამ შეუშალა ხელი, ხან დივერსიულმა აფეთქებებმა, უფრო მეტად კი ტრანსპორტის საწვავის უქონლობამ. დღეს, როგორც იქნა, ბადრიმ ბონდო „გამოიჭირა" (ბონდოს თავისი მანდარინიც ჰქონდა ჩასაბარებელი) ბიჭები მოიხმარა და ნახევრად დამპალი მანდარინი თვითმცლელში ჩავტვირთეთ. წაიღეს, თუმცა მიიღებენ თუ არა, ბევრად არ ვიდარდებ, რადგან ამ თითქმის დამპალი ნაყოფის გროვის ცქერამ ნევროზი გაგვიჩინა ოჯახში. ასე მოვიცილეთ ჩვენი ნაშრომ-ნაამაგარი მოსავალი. თუმცა ჰიშკრისკენ მალი-მალ ვიხედები, უკან არ მომიბრუნონ უვარგისი ციტრუსი.

იქმნება საერთო შთაბეჭდილება, რომ მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა თავს ვერ ართმევს აფხაზეთის ამბებს, ანდა რაღაცას უცდის. ამ ცდაში რაც მოგვივიდა, ცნობილია. საქართველოს პარლამენტს აფხაზეთის შესახებ ჯერჯერობით არაფერი კანონი არ მიუღია. რამდენი არ ილაპარაკეს, რამდენი არ იდავეს, რა არ თქვეს, ბოლოს კი არაფერი არ გაკეთებულა. მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. აფხაზი დეპუტატები მეტად აღელვებულნი გამოდიან პარლამენტში. ბატონმა გენო კალანდიამ ციფრიც კი მოიყვანა რვაასი ქართველი აფხაზებს მძევლად ჰყავს აყვანილიო. მე მეტი მგონია. ორჯერ თუ სამჯერ რვაასი მარტო კოჩარიდან იქნება. რადგანაც კოჩარა მათ ხელშია და იქ ხუთიათასამდე მცხოვრებია. ახალი ბატალიონების შექმნა ყოვნდება.

მდინარე გუმისთაზე ლამის ხაზი დაფიქსირდება. არსებობს თუ არა საქართველოს იურისდიქცია ტყვარჩელზე, ოჩამჩირეზე, გალზე, ზუგდიდზე, ჩხოროწყუზე, წალენჯიხაზე, ცხინვალზე, ჯავაზე? მიიღო კი რაიმე კანონი პარლამენტმა ამის თაობაზე? არა, არ მიუღია!

გია ყარყარაშვილი თავის მებრძოლებით ოჩამჩირეში ჩამოვიდა, მაგრამ აგერ თვეზე მეტი გავიდა და ერთ ადგილს ტკეპნის.

წუხელ სოფელ კუტოლში აფხაზებმა მძევლად აყვანილი ასი ქართველი გამოგზავნეს პოზიციებისაკენ და დააბარეს, რომ თუ ქართველები აფხაზების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებას წამოიწყებენ, მაშინ აფხაზები მთელ კუტოლს ამოჟლეტენო.

22 იანვარი

მდგომარეობა ოჩამჩირეში უკიდურესად გამწვავდა.

დღეისათვის მტერმა სოფელ კუტოლთან თავი მოუყარა არა ას, არამედ რვაასამდე ქართველ მძევალს და წამოაყენა თავხედური მოთხოვნები. მათ სოხუმში გაუშვეს ცხრა ქართველი, თან დააბარეს, რომ თუ 21 იანვრიდან ქართველობა არამარტო კუტოლის მიმართულებით, არამედ მთლიანად ოჩამჩირის სხვა ფრონტებზე წამოიწყებს სროლას და შეტევას, ყოველი ერთი მოკლული აფხაზისათვის (ან დაჭრილისათვის) დახოცავენ ათ მძევალს. ამ აქციაში თურმე ძალიან აქტიურობდა ერთი კონფედერ. მაიორი (ვინმე კალმიკი) ესეც ახალი თავისსამტერევი გაუჩნდა ჩვენს სარდლობას. ჯერ კიდევ ვერ გავიგე, რომელ სარდლობასთან გვაქვს საქმე. აქ მგონი, დილეტანტიზმი უფრო ჭარბობს, ვიდრე პროფესიონალიზმი. მოძალებულია ცრუ წოდებები. სოკოებივით მრავლდება პოლკოვნიკები და გენერლები და ვერც კი ვხედავთ ერთ წესიერად ჩატარებულ სამხედრო ოპერაციას. თუ გინდათ სიმართლე ვთქვა, ნამდვილი სამხედრო ოპერაციები არადუელებმა ჩაატარეს ყოველგვარი პოლკოვნიკებისა და გენერლების გარეშე.

პარლამენტში პარტიათა ფრაქციები დაჟინებით მოითხოვენ, სამხედროებმა და იმათ, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ აფხაზეთში ჩავარდნებზე, პასუხი გასცენ მომხდარის შესახებ, მაგრამ ვერა და ვერ მოხერხდა ამ საკითხის მოგვარება. ისევ დროის გაყვანის ტაქტიკა, თავისმომაბეზრებელი ფუჭი ლაყბობა და მეტი არაფერი. ამით სარგებლობს გაუკუღმართებული ქართველობა და როგორი ტიპის მარადიორობა გინდა, რომ არ მომძლავრებულიყოს. კასპის ბატალიონმა ლაბრა დაიკავა. მას უკან მიჰყვებოდნენ საბრძოლველად კი არა, უფრო საშოვარზე წამოსული ახალგაზრდობა და ძველგაზრდობა და ეს სოფელი პირწმინდად გაძარცვეს. გული მეტკინა, როცა მხედრიონელებმა ჩვენი მოსაზღვრე აფხაზური სოფლის, მოქვის ოცამდე სახლი გადაბუგნეს, მანქანები ნაძარცვით გამოტენეს და სოფელი მოქვი არადუს გადაკიდეს მტრად.

ამ სტრიქონების წერისას პიკის საათის გადაცემაში მოვისმინე ბატონ თამაზ ნადარეიშვილის პასუხები დღევანდელ ვითარებაზე აფხაზეთში. ნადარეიშვილმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ კუტოლთან და მიმდებარე სოფლებიდან აფხაზებმა მძევლად აიყვანეს რვაასი ქართველი. მაგრამ ნადარეიშვილმა პირობა დასდო, რომ არც ერთ ქართველს თმის ღერიც კი არ დაეკარგება. ამ აქციას მეთაურობს ვიღაც დაქირავებული მაიორი, ეროვნებით კალმიკი. ბატონმა ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ მასთან იყვნენ ქართული სოფლების წარმომადგენლები ოჩამჩირიდან. ასევე აღშფოთებულია სოხუმელი და ოჩამჩირელი ქართველობა. ისინი მოითხოვენ ადეკვატური ღონისძიებების გატარებას იმ აფხაზების მიმართ, რომლებიც ქართველების კონტროლქვეშ არიან. შესაძლებელია, სწორედ ასეთი პროვოკაციის მოწყობა აინტერესებს მათ.

ნადარეიშვილმა ისაუბრა აგრეთვე ლაბახუას შესახებ, რომელიც ტყვედ იქნა აყვანილი ვერტმფრენში. ლაბახუა, მისი თქმით, კრასნოდარიდან მიფრინავდა ტყვარჩელში, თითქოსდა ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად. მან თავი მოიმკვდარუნა, რომ თითქოს არაფერი არ აკავშირებდა სამხედრო მოქმედებებთან და მარტო ეკონომიკურ საქმეებს ხელმძღვანელობდა. ნადარეიშვილი კი ამტკიცებს, რომ ლაბახუა არის არძინბას ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი. სატელევიზიო ინტერვიუში ბატონმა ნადარეიშვილმა განმარტა, რომ გუდაუთაში ოპოზიცია არსებობდა, ეს ამბავი ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, სწორედ ამ ოპოზიციასთან მოხდა კონფლიქტი. ოპოზიციონერებმა დაჭრეს არძინბას რამდენიმე ახლობელი, თვითონ არძინბა დაიჭრა თავში და იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს მოსკოვში. არძინბას ამბავი რომ ვიცი, განაცხადა ნადარეიშვილმა, მეორე დღესვე გამოვიდოდა და განაცხადებდა, ეს ამბავი მომიგონესო. აგერ მეხუთე დღეა მასზე არაფერი ისმის. არც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან რამეს.

აფხაზებმა შეხვედრა ითხოვეს ქართველთა მხარესთან. ქართველობა დათანხმდა. შეხვედრის თარიღს ალბათ დაადგენენ. ვნახოთ, რა პაკეტს წამოიღებენ აფხაზები გუდაუთიდან. ბოლოსდაბოლოს იქნებ მოაგონდეთ, რომ ყველაფერს აქვს თავის დასაწყისი და დასასრული.

დღეს არადუში საღამო ჟამს განაწილდა სხვადასხვა სამხედრო ტანსაცმელი: ჩექმა — 60, თბილი ქუდი — 100, დაბამბული ტანსაცმელი — 80, შინელი 60 ცალი, საცვლები 120 ცალი, ზურგჩანთა 40 ცალი, კომენდანტ ბორისს ვკითხე ტყვია-წამლის საქმე როგორ იქნება მეთქი? ჯერჯერობით კარგადო. ეს ჯერჯერობით თუ რას ნიშნავდა, კარგად ვერ გავიგე.

ამ დროს ტრაქტორი „ხარკოვი" მოგუგუნდა და გვარიანი გრძელი და მსხვილლულიანი ქვემეხიც შემოაგორა. „გენერალი" ცერცვაძეც თან უჯდა ქვემეხს. ასე შეარქვეს არადუელ მურთაზ ცერცვაძეს თანატოლებმა და მებრძოლებმა. მურთაზი ომის დაწყებიდანვე ჩაება ბრძოლაში თავისი ქვემეხით და ერთგულად ემსახურება მას დღემდე. ეს კია, მერკულის გორაზე რომ ერთი დადიანის კოშკივით წამოსკუპებული სახლია, სამი თვეა უმიზნებს მას თავის ქვემეხს, ორასამდე ჭურვი მაინც ექნება გატყორცნილი, ის ჭურვები ზოგი მოქვში ეცემა, ზოგი ჯალში და ზოგიც არადუში. ამიტომ მურთაზს „გენერალის" წოდება მიანიჭეს და იგიც ამ სიტყვის გაგონებაზე ხშირად ჩამოისვამს ხოლმე ხელს ხან შავ წვერზე და უფრო შავ ულვაშებზე. ზოგს ცარიელ ყუთებს ჰპირდება და ზოგსაც კიდევ გასროლას მერკულის მიმართულებით...

დღეს რუსეთ — საქართველოს მოლაპარაკება დაიწყო. ეროვნულ მოძრაობათა ლიდერები კვლავ აქტიურობენ რუსეთთან ურთიერთობის განსაზღვრის საქმეში.

გაგრძელება იქნება

# უკან, წინ, თუ სად?

მეშვიდე გვერდიდან

რსების შენარჩუნებით, სრულიად ახალი შინაარსის მქონე კავშირებით.

თუ სნგ-ში ჩვენი შესვლა უკან დაბრუნებაა, იბადება კითხვა — წინსვლა რაღაა?

წინსვლა, რომელიც უკანსვლას უჭველად სჯობია, ჩვენს დამოუკიდებლობაშია, მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენებაში. გვაქვს სიძნელეები, გვაქვს გაჭირვება, მაგრამ ყველაფერს მოევლება, ოღონდ დამოუკიდებლობას ზურგს ნუ შევაქცევთ. „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა", რომ თუ ეს სურვილი არ დავიკმაყოფილეთ, მაშინ სიცოცხლეც აღარ ღირს.

ქართველი ხალხი ნიჭიერია, ის მიაგნებს გამოსავალს, ეკონომიკასაც მოაღონიერებს და კულტურასაც აყვავებს. პროფესორ ჟულიენ ლომოურის ერთი გამოკვლევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მე-18 საუკუნეშიც კი, როცა ნამდვილად არ ულხინდა, იმდენი მარცვალი მოჰყავდა, რომ არათუ საკუთარ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა, უცხოეთშიც გაჰქონდა გასაყიდად ან სხვა საქონელზე გასაცვლელად. ეს ფაქტი მეტად სანუგეშოა და იმედის მომცემიცაა. საჭიროა ჩვენი ინტელექტუალური თუ ფიზიკური ძალების ისე წარმართვა, რომ მოკლე დროში ქვეყანა გაჭირვებიდან ჩვენვე გამოვიყვანოთ.

მერვე-მეცხრე საუკუნეების დიდმა ქართველმა მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა არაბთა მიერ გაპარტახებული საქართველოს აღორძინების უპირველეს საშუალებად ხალხის სულიერი აღორძინება მიიჩნია და არც შემცდარა, ამან დიდი შედეგი გამოიღო. ალბათ ჩვენც სულიერი აღორძინებით უნდა დავიწყოთ. თუ შევძლებთ და უსასოო ადამიანებს რწმენასა და იმედს დავუბრუნებთ, მაშინ მათი გონებაცა და კუნთებიც შეუძლებელს შეძლებენ. მხოლოდ სხვისგან მიღებული დახმარებით ქვეყანა ვერ იარსებებს. სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილება დამღუპველია.

ახლა ბევრი წუწუნებს იმის გამო, რომ ხალხი შრომას გადაეჩვიაო, უნარიანი ადამიანები საქართველოდან გარბიან და სხვა ქვეყნებში ეძებენ შემოსავლის წყაროსო. მართალია, მაგრამ მოდი ვიკითხოთ, რატომ ხდება ასე? აბა აქ დავასაქმოთ და დახარჯული შრომის ექვივალენტური გასამრჯელო აქვე მივცეთ მათ, მაშინ განა ვინმე სადმე წავა? რომელი გიჟი წავა? ჩვენი პრობლემები ჩვენვე უნდა გადავჭრათ, ჩვენი ქვეყანა ჩვენვე უნდა მოვაწყოთ. საქართველოს მიერ საუკუნეებში გამოვლილი გზა მხოლოდ ამას გვიდასტურებს და ეს ჭეშმარიტება კარგად უნდა შევითვისოთ. სხვა ვინმე შენს საქმეს არ გააკეთებს და თუ გააკეთა, მხოლოდ რაღაც ნაცვალგების საფუძველზე იზამს ამას.

ერთი სიტყვით, ქვეყნის წინსვლა მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, ხალხის სულიერ ამაღლებაში, პატიოსან შრომასა და გონიერებაში გვეგულება.

ჩვენს ყოფაში ჩავარდნილ ხალხს სასოწარკვეთა თუ დაეუფლა და მომავლის იმედი თუ გადაეწურა, დაღუპვა და გადაშენება მართლა გარდუვალი იქნება.

სათაურში გატანილი მესამე კითხვის („საით?") შესახებაც უნდა ვთქვა. ნებისმიერი მცირერიცხოვანი ერის წინაშე დამდგარა საკითხი „მფარველის" ძებნისა. საქართველომაც გადადგა ეს ნაბიჯი 1783 წელს. მართალია, ახლა ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც ერეკლე II ამ ნაბიჯის უკმაყოფილოა, მაგრამ აბა ყველამ გულდასმით და მიუკერძოებლად წაიკითხოს ხელშეკრულების ტექსტი, მაშინ დარწმუნდებიან, რომ იგი ღირსეულად და გონივრულად არის შედგენილი. მართალია, 1801 წელს ველურმა ძალამ ეს ხელშეკრულება სალდათების ჩუსტებით გადათელა, მაგრამ ეს მათ სინდისზე იყოს, ვინც ეს ჩაიდინა. რუსეთი რომ პატიოსანი პარტნიორი ყოფილიყო, თვითონაც მოიგებდა და საქართველოც. ისიც საქმეა, რომ ჩვენ უკვე გვაქვს მწარე ისტორიული გამოცდილება და თუ ახალ „მფარველს" დავუწყებთ ძებნას, ის სულ სხვაგვარი, მართლაც კეთილი ზრახვებით სავსე უნდა იყოს, თანაც თვით სიტყვა „მფარველის" შინაარსიც სავსებით ახლებურად უნდა გავიაზროთ. ცხადია, მასაც ექნება რაღაც ინტერესი (ისე არავინ გეიმფარველებს), მაგალითად, სტრატეგიული თვალსაზრისით, მაგრამ ის არ უნდა იყოს უშუალო მეზობელი, უნდა იყოს ცივილიზებული ქვეყანა, რომელსაც კოლონიალიზმის მიმართ ალერგია ექნება. ამავე დროს იგი თავისი ძლიერების წყალობით შეაკავებს სხვა მსუნაგი ქვეყნის მადას და ჩვენი შთანთქმის საშუალებას არ მისცემს. ამ მხრივ სამაგალითოდ გამოდგება ისრაელისა და აშშ ურთიერთობა, რამაც ისრაელის პატარა სახელმწიფოს დიდი გამარჯვებები მოაპოვებინა.

ახლა, ამჯერად მე ეს საკითხი ზოგად ხაზებში წარმოვაჩინე. ისე კი ამაზე ბევრი მაქვს ნაფიქრი და კონკრეტული გზებიც ჩემებურად გააზრებული.

ჩვენი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების ნიჭიერება და ტალანტი იმით უნდა ფასდებოდეს, თუ რამდენად შედეგიანად მოაგვარებენ პოტენციური აგრესორის შეკავების საქმეს, რამდენად შექმნიან ისეთ საერთაშორისო გარემოს, რომელშიც საქართველო მშვიდობიანად, დამოუკიდებლად იცხოვრებს.

მინდა ასე დავამთავრო:

უკან დაბრუნება დამღუპველია!

აუცილებელია ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარება-წინსვლა!

საჭიროა სამისო პირობების, გარემოს შექმნა!

თუ მოვინდომებთ, თუ სულიერად ავმაღლდებით, თუ დღევანდელი ქაოსის მორევს გადავეჩვევით და ხვალინდელ ქვაზე ვიზრუნებთ, მაშინ საქართველო მოკლე დროში გახდება მსოფლიოს ღირსეული ქვეყანა, საიდანაც სხვაგან აღარავინ გაიქცევა, აქეთ კი ბევრი ვინმე გამოიქცევა.

ღმერთმა ჩვენი ნათქვამი კარგ ყურით გაიგონოს.

19.1.94 წ.

P.S. ამ წერილის დაწერიდან ხუთი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ წერილის მთავარ პათოსს ყავლი არ გასვლია. ამიტომ მისი დაბეჭდვა დღესაც გამართლებულად მივიჩნიე.

# ომი დამთავრდება, მაგრამ?..

## ღია წერილი ბატონ გიორგი შენგელაიას

ვაქვეყნებთ წერილს, რომელიც წელიწადნახევრის წინათ დაიწერა და ფოსტით ახლაღა მოაღწია რედაქციაში... მისი პუბლიკაცია დღესაც საჭიროდ მიგვაჩნია.

ბატონო გიორგი!

თქვენს ინტერვიუში — „ბოლოსდაბოლოს, ყველა ომი მშვიდობით მთავრდება“, გამჟღავნებულმა პოზიციამ ძალზე ჩამაფიქრა. (გაზ. „რესპუბლიკა“,10/XII, 1992).

ომის უმსხვერპლოდ დამთავრება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამდენად არცერთი ომი მშვიდობით არ მთავრდება. მაგრამ ყველა ომის დამთავრებას რომ მშვიდობა უნდა მოყვეს, ამაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს.

მთავარი ის არის, თუ რას მოუტანს მშვიდობა მოწინააღმდეგე მხარეებს, როცა ერთი იბრძვის სხვისი მიწა-წყლის მისატაცებლად, მეორე კი იცავს საკუთარ სახელმწიფოს ტერიტორიალურ მთლიანობასა და თავისუფლებას. მოცემულ ასპექტში იმ მებრძოლთათვის, რომლებიც სისხლს ღვრიან და სიცოცხლეს სწირავენ, ან და ომით გაუბედურებული, გატანჯული ადამიანებისათვის, ინტერვიუს სათაური არაფრის მთქმელია.

აფხაზეთის რეგიონში, თქვენებურად გააზრებული, კონფლიქტის მიზეზის აღკვეთა, მარტივ პრობლემად გესახებოდათ: „ღრმად თუ ჩაუკვირდით, აფხაზეთის კონფლიქტი გამოიწვია იმ კონფრონტაციამ,რომელიც გამსახურდიას მომხრე ძალებმა შექმნეს,ისინი აფეთქებდნენ ხიდებს, რკინიგზას, ისინი — ბახია და მისი რაზმი“ — ფლობდნენ და აკონტროლებდნენ აფხაზეთის ტერიტორიას. „შემდეგ დასძენთ,— „ეტყობა, ჩვენ ყველანი ერთად შევცდით, წარმოვიდგინეთ, რომ ამ პრობლემის მარტივად გადაწყვეტა შეიძლებოდა...“ სამწუხარო ისაა, რომ არამარტო შეცდით, არამედ თქვენ — ღრმად ჩაკვირვებული ინტელექტუალიც ცუდად ერკვევით ომის გამომწვევ მიზეზსა და საბაბის ურთიერთდამოკიდებულებაში, რის გამოც აფხაზეთის რეგიონს ბახიას რაზმის მფლობელობისა და კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიად აღიქვამდით.

ყველაფერში და ყველგან, მხოლოდ გამსახურდიას მომხრეებს — ბახიას, შურღაიას, ქობალიას რაზმებს ხედავდით და შეუმჩნეველი გრჩებოდათ მთავარი, — რომ სინამდვილეში აფხაზეთის რეგიონს მკაცრად აკონტროლებდა არძინბა, მისი ბანდა და უკანონოდ შექმნილი მონონაციონალური აფხაზ გვარდიელთა რაზმები. შეუმჩნეველი გრჩებოდათ ისიც, რომ აფხაზეთის რეგიონსა და მის მიმდებარე სამეგრელოს რაიონებში გაუთავებელი დივერსიული აქტების მთავარი, ინსპირატორ-ორგანიზატორები იყვნენ, გამსახურდიას მხარდამჭერ სანქციებს ამოფარებული, აფხაზი ექსტრემისტ-სეპარატისტები, დესტაბილიზაციის გაღრმავებისა და ქართველების ურთიერთ დაპირისპირების მიზნით. როგორც ხედავთ, საომარი სამზადისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტაქტიკურ ამოცანას აფხაზ ექსტრემისტ-სეპარატისტებმა წარმატებით გაართვეს თავი. ამაზეა ნათქვამი: „მგელს მგლობა გაუვარდა და ტურამ ქვეყანა დააქციაო“.

იმის ნაცვლად, რომ აფხაზეთის ავტონომიის მესვეურები გვეიძულებინა დაეშალათ უკანონოდ შექმნილი ე.წ. აფხაზური გვარდია, ანდა უზრუნველგვეყო მისი განეიტრალება-გაუვნებლებლობა, აფხაზეთის რეგიონში იმჟამად განლაგებული საქართველოს სამთავრობო კანონიერი სამხედრო ფორმირებების გაძლიერების გზით, პირიქით, თითქოს და არძინბას საამებლად, საქართველოს საჯარისო დანაყოფები გაყვანილი იქნა აფხაზეთის რეგიონიდან, სამაჩაბლოში გაგზავნის საბაბით. ასეთი, ტაქტიკურად ბრმა, სტრატეგიულად უვიცი და პოლიტიკურად დილეტანტური ნაბიჯის გადადგმა არ მოხდებოდა, რომ 1989 წლის ივლისის სისხლიანი ტრაგედია საფუძვლიანად ყოფილიყო გაანალიზებული და გააზრებული.

ამგვარი მაამებელი დათმობებით არაერთხელ დაუჯილდოებია საბჭოური ინტერნაციონალიზმით დახეიბრებულ, მორჩილ, თვინიერ, დამთმობ ქართველებს ჭირვეულ აფხაზ სეპარატისტთა უკანონო მოთხოვნები: აფხაზი კოლეგების მიერ ქართული თეატრის დასის გაძევება ქართველების აშენებული და ქართული ეროვნული ჩუქურთმებით დამშვენებული თეატრის შენობიდან., არა აფხაზეთის, არამედ აფხაზური ტელევიზია, აფხაზური უნივერსიტეტი., აფხაზური აპარტეიდული არჩევნები., ქართველი ერის სიძულვილის, მტრობის, შურისა და ბოღმის შხამით გაჯერებული ე.წ. აფხაზური წერილის მიფუჩეჩება და მისი ავტორებისა და აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ აბობოქრებული, ერთ ძლიერ მუჭად შეკრული ქართველი ერის საპროტესტო გრანდიოზული მიტინგების სხვა მიმართულებით წარმართვა, რომელიც დამთავრდა 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიით, ქართველი ერის გლოვითა და აფხაზ ექსტრემისტ-სეპარატისტთა ხროვის მიერ მოტყუებულ აფხაზი ხალხის საზეიმო ლხინ-ღრეობით., საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის შეურაცხყოფა, აფხაზეთის რეგიონში კეთილი ქრისტიანული მისიით მოგზაურობის დროს და ამ ვანდალური აქტის ჩამდენ ანტიქრისტე დამნაშავეთა დაუსჯელი პარპაში., დაუსჯელობით გათავხედებულ, აღვირახსნილ აფხაზ ექსტრემისტ-სეპარატისტთა მიერ 1989 წლის 15-16 ივლისს მოწყობილი თავდასხმა, ქართული ისტორიული და საგანმანათლებლო კერების ვანდალური დარბევა-წაბილწვით, ქართველთა სისხლისნთხევითა და ამ ტრაგედიის ინსპირატორ-ორგანიზატორთა კვლავ დაუსჯელად თარეში და სხვა მრავალი. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საკუთარი ხალხისა და ქართველი ერის მტრები — აფხაზი სეპარატისტები ჩადენილი დანაშაულებებისათვის დაუსჯელი რჩებოდნენ, გარკვეულწილად ზოგიერთი თანამდებობას ან „ბიზნესს“ ჩაბღაუჭებული ვაიქართველის მონურ-მაამებელ წაყრუებითა და მფარველობით.

როგორც ჩანს, ბუნდოვნად ერკვევით ჯარის შეყვანისა და გადაადგილების მარტივ ცნებებში. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარების გადაადგილებას, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესაბამისად, სახელმწიფოს საზღვრების შიგნით, არ შეიძლება ვუწოდოთ აფხაზეთში ჯარების შეყვანა, რამდენადაც აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი რეგიონია.

ამდენად, საქართველოს ჯარების გადაადგილება აფხაზეთის რეგიონში არის საბაბი და არა მიზეზი საქართველოს ომში ჩასათრევად.

ომის მიზეზია — რუსეთის რეაქციული ძალების მიერ ინსპირირებული და ადგილობრივი აფხაზი ექსტრემისტ-სეპარატისტების მიერ წინასწარ დაგეგმილი შეთქმულება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, მისი ტერიტორიალური მთლიანობის ხელყოფისა და ძირძველი ქართული მიწაწყლის მიტაცების ვერაგული მცდელობა, რომლის გენერალური რეპეტიცია ჩატარებული იქნა 1989 წლის 15-16 ივლისში, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ომის დაწყების თარიღად. ამიტომ, ჩემი აზრით, ომში დაღუპულთა სიაში პირველ ნომრად მოხსენებული უნდა იქნეს გმირულად დაცემული ქართველი პატრიოტი ვოვა ვეკუა.

როგორც ჩანს, ზოგიერთი ქართველის იდეოლოგიურ-პოლიტიკური მენტალიტეტი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა საბჭოური ინტერნაციონალიზმის ცბიერი ბაცილებისაგან, რომლის „სიკეთით“ შესანიშნავი მოქნილობით სარგებლობდნენ მცირერიცხოვანი ეთნიკური ტომები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის შევიწროების, ადამიანის უფლებებისა და ეროვნული შეგნების დაკნინება-დათრგუნვის ხარჯზე, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობდა თვით ქართველი კაცის ინტერნაციონალური ბუნება, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს იმპორტირებულ საბჭოურ ინტერნაციონალიზმთან.

საბჭოური ინტერნაციონალიზმის შინაგანი ჟღერადობით გაპირობებული, ფსევდოჰუმანური მოსაზრებებია გამჟღავნებული თქვენს გულისამაჩუყებელ სიტყვებში:„ისევ და ისევ ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე — აფხაზები მოგეხსენებათ, მცირერიცხოვანი ერია. მათ მაშინ ისეთი ფსიქოლოგიური სტრესი განიცადეს, რომ შეიძლება პირდაპირ ქვეშ დაწოლოდნენ ტანკებს.“ ჯავრს ამაოდ მისცემიხართ, ბატონო გიორგი, რადგან ცნობილია, რომ აფხაზ ექსტრემისტ-სეპარატისტთა ხროვა პირსისხლიანი არძინბას ატამანობით დიდი ხანია იდეოლოგიურად ამზადებდა და აიარაღებდა საკუთარ ხალხს ომისათვის, ამიტომ მოულოდნელი ფსიქოლოგიური სტრესი გამორიცხული იყო და გუდაუთაში შეხიზნული აფხაზები „ტანკებს პირდაპირ ქვეშ“ არ ჩაუვარდებოდნენ.

კიდევ მეტი, თქვენი ინტერვიუ დაისტამბა გაგრის ტრაგედიიდან ორი თვის შემდეგ, მაგრამ იგივე „ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე“, ერთი სიტყვაც კი არ დაგცდენიათ გაგრაში დატრიალებულ ქართველთა უბედურებაზე, სადაც თქვენს მიერ შებრალებულმა აფხაზებმა კანიბალური სისასტიკითა და ველურობით მოაწყვეს ქართველების გენოციდი: ხვრეტდნენ ქართველობისათვის, ვენებს უხსნიდნენ და სისხლს სვამდნენ, ქართველთა მოკვეთილი თავებით ფეხბურთის სტადიონზე ბურთაობდნენ. ან და ქართველთა ჟლეტა ოდხარაში, კოჩარაში, მშვიდობიან მგზავრებზე ნადირობა კინდღ-ტამიშ-ოჩამჩირის საავტომობილო გზის მონაკვეთზე, სისტემატური ჭურვების დაშენითა და დაბომბვით სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა, ათასობით გადამწვარ-გადაბუგული კარმიდამო და საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად ქცეული ქართველები.

თქვენი ჰუმანური მოსაზრებები, პარადოქსული ემოციებითაა გაპირობებული, ამაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ თქვენ ჩინებულად ხელმძღვანელობდით ექსტრემალურ სიტუაციაში ჩავარდნილი ადამიანების ემოციებით, როდესაც ეს ეხებოდა გუდაუთაში „თავმოყრილ“, იგივე ლტოლვილ აფხაზებს, მაგრამ როცა საქმე შეეხო ლტოლვილებად ქცეულ, განაწამებ, გატანჯულ და სისხლნანთხევ ქართველებს, მაშინ „ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე“,კი არ ღაღადებთ, პირიქით, საკუთარ მკრეხელობაში ეჭვმიტანილი დამრიგებლობით აცხადებთ: „მკრეხელობად ნუ ჩამომართმევენ, მაგრამ ასეთ პოლიტიკურად მძიმე სიტუაციაში პოლიტიკოსებმა ლტოლვილების ემოციებით არ უნდა იხელმძღვანელონ“.

სტრესულ მდგომარეობას უარყოფითი ემოციები განაპირობებენ, ემოცია კი ადამიანის ფსიქიკური რეაქციაა — გარე სინამდვილისა და თავისი თავისადმი ინდივიდის დამოკიდებულების განცდა. არა მარტო პოლიტიკოსებმა, არამედ ნებისმიერმა პიროვნებამ არ უნდა იმოქმედოს საკუთარი ემოციების კარნახით, მაგრამ პოლიტიკოსმა, რომელსაც უტვირთია ხალხის ინტერესებისათვის მოღვაწეობა, მოვალეა ანგარიში გაუწიოს ადამიანის ემოციურ მდგომარეობას და გარკვეულწილად იხელმძღვანელოს სამოქმედო გადაწყვეტილების მიღებისას, მძიმე ექსტრემალურ სიტუაციაში ჩავარდნილ ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით.

იგივე საბჭოური ინტერნაციონალიზმით გამრუდებული ჰუმანური გადმოსახედიდან, რომ არ აფასებდეთ სამაჩაბლოში შექმნილ მდგომარეობას, მაშინ არ განაცხადებდით: „მსგავს გამოსავალს,რომ მივაღწევდეთ აფხაზეთში, ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება“. თქვენი სიტყვები ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ შეგუებული ბრძანდებით იმ აზრთან, რომ საქართველომ დაკარგოს აფხაზეთის რეგიონი, როგორც ჯერჯერობით სამაჩაბლო დაკარგულია ქართველებისათვის. სამაჩაბლოში დამკვიდრებული „სიმშვიდე“, გაიძვერა კულუმბეგოვის ბოროტების წისქვილზე ასხამს წყალს. თქვენი ინტერვიუს მიხედვით, სამაჩაბლოში დატრიალებულ ტრაგედიაში ქართველები და ოსები თანაბარი ცოდვა-მადლის მატარებლები არიან.

შეიძლება შურ[illegible] მაგრამ დავიწყება არ შეიძლება: როცა ჩამოსახლებული ოსები ქართველებმა ტრადიციული სტუმართმოყვარეობით შეიხიზნეს; შეიფარეს, გაათბეს და მშობლიური მიწის ძუძუ აწოვეს. ოსებმა მადლიერებისა და სიყვარულის ნაცვლად მტრობა მოგვიზღო, ტყვია გვესროლეს, იმდენად გათავხედნენ, რომ ქართული მიწაწყლის მიტაცება მოინდომეს. შეუძლებელია დაივიწყო მკვიდრი ქართველი მოსახლეობის დარბევა და ხოცვა, ცოცხლად დამწვარი ქართველი ვაჟკაცები,აკვანში დახვრეტილი ბავშვი, ჭრილობაში თოკგაყრილი, გაჭენებულ ცხენზე გამობმული ქართველის წამებით სიკვდილი, გაუპატიურებული გოგონები,ათასობით გადამწვარი ქართველების სახლკარი და საკუთარი ძირძველი საცხოვრისიდან განდევნილი ქართველები, რომლებლისთვისაც სამაჩაბლოში და განსაკუთრებით ცხინვალში დასაბრუნებელი გზა გადაკეტილია.

არ იქნა და ვერ შევიგნეთ, რომ სანამ რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთი ჯარისკაციც კი იმყოფება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონებში, მანამ ამაოა იმაზე ფიქრი, რომ ნებისმიერი გარიგების ვარიანტი წარიმართოს საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ.

ბატონო გიორგი! თქვენი აზრი არ ვიცი, მაგრამ მე მაფიქრებს ის, რომ როდესაც ძირძველი ქართული მიწა — სამაჩაბლო, დამოუკიდებელ ოსურ რესპუბლიკადაა გამოცხადებული, ისიც რუსეთთან მიერთების ილუზიით, საქართველოს მთავრობამ სამაჩაბლოსათვის 500 მილიონი მანეთი გამოყო. ეს თანხა სამაჩაბლოს ქართველებს თუ მოხმარდება, მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ისე ხომ არ მოხდება, რომ ქართული მიმტევებლური, რაინდული ბუნების წყალობით ამ დახმარებით ოსი ექსტრემისტ-სეპარატისტთა ბანდა ისარგებლებს ისევ ქართველთა საწინააღმდეგოდ.

თქვენი აზრით, ამჟამად მიმდინარეობს „...ურთულესი სოციალისტური ქვეყნის ნგრევის პროცესი“. როგორ შეიძლება ქვეყანას უწოდო სოციალისტური, როდესაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოციალურად დაუცველი იყო, სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების სრული იგნორირების ატმოსფეროში. მთელი 70 წლის მანძილზე ვცხოვრობდით სოციალიზმისა და კომუნიზმის უტოპიური იდეებით შენიღბულ, საბჭოთა კავშირად წოდებულ, კომუნისტური დიქტატის იმპერიაში, საქართველო კი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით, ფაქტიურად წარმოადგენდა მის მფლობელობაში მყოფ კოლონიას.

სადღაც თქვენც მართალი ბრძანდებით, რადგან საბჭოური იმპერია ერთი მუჭა ნომენკლატურული პარტიული ელიტისათვის არა მარტო სოციალიზმი, არამედ „აშენებული კომუნიზმიც“ იყო, რადგან მათი უფლებების შეუზღუდავობა და ყოველმხრივი უზრუნველყოფა ხდებოდა მშრომელი მოსახლეობის ექსპლოატაციისა და დათრგუნვის საფასურად.

თქვენ სინანულით აღიარებთ — „ჩვენც ინტელექტუალები, ვცდებოდით, ავყევით ამ „გლასნოსტს“. გორბაჩოვის

(დასასრული მე-12 გვ.)

# ომი დამთავრდება, მაგრამ?...

მეთერთმეტე გვერდიდან

რეფორმებს კი მხოლოდ იდეოლოგიის მსხვრევა მოჰყვა. „უბრალოდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, თქვენ არ აყვებოდით გორბაჩოვის რეფორმებს, რომ გცოდნოდათ მას მსოფლიოში უკანასკნელი — რუსეთის იმპერიის მსხვრევა მოჰყვებოდა, დასანანია.

რაც შეეხება ხალხის შრომაზე გადაჩვევას, ეკონომიკის მოშლასა და სახალხო მეურნეობის დანგრევას, იმ იდეოლოგიას მოჰკითხეთ, რომელსაც ასე მწარედ მისტირით ბატონო გიორგი.

ალბათ, ჩრდილოეთის ნოსტალგიამ განაპირობა, რომ მეოცე საუკუნის მიწურულში, ისტორიის საკუთრებად ქცეული ყიზილბაშებისა და ფაშა-ხონთქრების ქვეყნების შიშით, საქართველოს სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემას განიხილავთ ვახტანგისა და ერეკლესდროინდელი პოლიტიკური პლატფორმიდან: „ჯერჯერობით კი კვლავ ისტორიული არჩევანის წინაშე ვდგებით — მუსულმანური თურქეთი და ირანი ან ქრისტიანული რუსეთი“.

გეკითხებით, ნუთუ იმისთვის იბრძოდა საქართველო ორი საუკუნის განმავლობაში, რომ დღეს თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო კვლავ დამდგარიყო რთული დილემის წინაშე, — თითქოსდა საქართველოსათვის, ქრისტიანული რუსეთის ან მუსულმანური თურქეთის და ირანის გარდა, სხვა გზები ევროპისაკენ გადაკეტილი იყოს.

დროა შევიგნოთ, რომ თანამედროვე მსოფლიოს სინამდვილეში, ყველაზე დიდი ბოროტება ისაა, როდესაც რუსული იმპერიული აგრესიულ-დამპყრობლური პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩება, იმ დროს როდესაც კაცობრიობის პროგრესის, ადამიანის უფლებრივი, სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების სრულყოფისა და ცივილიზაციის პროცესში, მრავალმა, წინათ აგრესიულ-დამპყრობლური პოლიტიკის მქონე ქვეყნებმა, საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს, ცივილიზებულ და დემოკრატიული სახელმწიფოების თანავარსკვლავედში.

ინტერვიუს დასაწყისში, სინანული გამოთქვით იმის თაობაზე, რომ მიუხედავად მაჟორიტალური წესით კენჭისყრისა იმ უბანში, სადაც თქვენ გაიზარდეთ და ყველანი გიცნობდნენ, არჩევნებში მაინც დამარცხდით.ეს რა გასაკვირვია, ნორმალურ სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში, ამომრჩევლები მეზობლობით, ნაცნობობით, მეგობრობით და ნათესაობითაც კი არ აძლევენ ხმას დეპუტატობის კანდიდატებს. სამწუხარო ის არის, რომ არჩევნებში დამარცხების მიზეზად თვლით რაიონებიდან თბილისში ჩამოსახლებულ „პროვინციალებს“, — „ბოლო წლებში უამრავი ხალხი ჩამოსახლდა რაიონებიდან. ამ პროვინციული მენტალიტეტის მომძლავრებამ ქალაქში, ჩემდა სამწუხაროდ, განაპირობა ჩემი დამარცხება“.

ერის წინაშე ცოდავთ ბატონო გიორგი!, თქვენი მკრეხელური განაცხადი შეურაცხყოფს არა მარტო რაიონებში მცხოვრებლებს, ამავე დროს გულს ატკენს ყველა პატიოსან ქართველ პატრიოტსა და განსაკუთრებით ყველა საღად მოაზროვნე თბილისელს.

როგორც თბილისში, ისე სხვა ნებისმიერ სატახტო ქალაქში დაბადებული და აღზრდილი ადამიანების გარკვეული პროცენტი არ არის თავისუფალი ე.წ. პროვინციალობისაგან, და პირიქით მთელი რიგი ადამიანებისა, რომლებიც დაიბადნენ და აღიზარდნენ სოფელში არ არიან, თქვენს მიერ შეჩვენებული, პროვინციალობით დამძიმებულნი. ამრიგად, ე.წ. პროვინციული მენტალიტეტის განმსაზღვრელ კრიტერიუმად ვერ გამოდგება პიროვნების საცხოვრებელი ადგილი. გარდა ამისა, საქართველოს რაიონებს პროვინციებს არ უწოდებენ. პროვინცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს, ძველ რომში — იტალიის გარეშე მდებარე რომის მიერ დაპყრობილი არა იტალიელებით დასახლებულ ქვეყნებს. რაც შეეხება პროვინციულს, ამ ტერმინით დღეს სარგებლობენ სატახტო ქალაქში ცხოვრებით გაამპარტავნებული რეტროგრადულად მოაზროვნე ინტელექტუალები.

ინტერვიუს მიხედვით, ჩვენს სათაყვანო დედაქალაქში „პროვინციული მენტალიტეტის მომძლავრებაში შეიძლება ბრალი დაედოს ისეთ საქვეყნოდ ცნობილ ქართველებსაც, რომლებიც სხვადასხვა დროს რაიონებიდან თბილისში გადმოსახლდნენ. აი, ზოგიერთი მათგანი: სხვიტორიდან — აკაკი წერეთელი, ყვარელიდან — ილია ჭავჭავაძე, ჯიხაიშიდან — ნიკო ნიკოლაძე, ჭყვიშიდან — გალაქტიონ ტაბიძე, აძუბჟიდან — სიმონ ჯანაშია, აბაშიდან — კონსტანტინე გამსახურდია, ჩხენიშიდან — ანდრია რაზმაძე, ბარდნარიდან — ლადო ასათიანი,შემელეთიდან — ილია ვეკუა, პატარძეულიდან— გიორგი ლეონიძე,ბოდბისხევიდან — ავლიპ ზურაბაშვილი,წალენჯიხიდან — ტერენტი გრანელი,სენაკიდან — აკაკი ხორავა და სხვა მრავალი. მინდა შეგახსენოთ, რომ სოფელ ობუჯიდან, თავის დროზე, თბილისში გადმოსახლდა თქვენი მამა— ცნობილი კინო რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია.

თუ სიმართლე გნებავთ, რაიონებიდან ქართველების გადმოსახლება საკუთარ დედა თბილისში, განაპირობებდა არა პროვინციულ, არამედ ქართული გენით კოდირებულ მენტალიტეტის მომძლავრებას, უცხო გენებით აჭრელებულ საქართველოს დედაქალაქში, რაც ძნელი შესაგუებელია იმათთვის, რომლებიც მისტირიან მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მსხვრევას და შეგნებით თუ შეუგნებლად აღვივებენ შუღლსა და კონფრონტაციებს, ყველა ჭეშმარიტ ქართველისათვის სალოცავ,დედაქალაქ თბილისსა და რაიონებს შორის.

ბატონო გიორგი!, თქვენი უბნის მცხოვრებლებმა, სადაც გაიზარდეთ, ყველანი გიცნობდნენ და მიუხედავად ამისა არჩევნებში ხმა არ მოგცათ, ისიც მაჟორიტარული წესით. მათ სასახელოდ უნდა ითქვას არ შემცდარან, რადგან თქვენ, როგორც ხელოვანი, უფრო მეტად ესაჭიროებით ქართველ ერს, ვიდრე პოლიტიკოსი.

28/XII, 1992
სოხუმი

პატივისცემით
ბიძინა
მგალობლიშვილი
მედიცინის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

## გაგრაში იხსნება ჩეჩნური სკოლები?!

**გაგრაში** აქა-იქ შემორჩენილი თითოოროლა ქართული ოჯახი იმყოფება არალეგალურ მდგომარეობაში.

ჩამოთესლებული გადამთიელების შიშით ისინი ქუჩაში ცხვირს ვერ ჰყოფენ.

ჩეჩნებს იქ უკვე გაუხსნიათ თავიანთი სკოლები.

ქალაქის ცხოვრებაზე ფაქტიური ზეგავლენა სწორედ გადამთიელებს აქვთ მოპოვებული.

« ი მ ე რ ე თ ი »

Ltd „იმერეთი“ იღებს სავალუტო ანაბრებს (ამერიკული დოლარი, რუსული რუბლი) თქვენთვის ხელსაყრელ პირობებში:

დოლარები:

**3 თვით — 63%, ყოველთვიური გატანით — 18%**

**6 თვით — 145%, ყოველკვარტალური გატანით — 70%**

**1 წლით — 295%, ყოველკვარტალური გატანით — 72%**

რუსული რუბლები:

**3 თვით — 78%%**

**6 თვით — 260%**

**1 წლით — 500%**

ჩვენი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 79, მეცნიერებისა და ტექნიკის სახლი, მეორე სართული, ოთახი 26, ტელ.: 95-72-07.

**„იმერეთი“ — ყველაზე მტკიცე გარანტიები!**

* * *

Ltd „იმერეთი“ იწვევს მსმენელებს ბუღალტრული აღრიცხვის სწრაფშემსწავლელ კურსებზე ფართო პროფილით.

მისამართი: ანაგის ქ. №2, 63-ე საშუალო სკოლის შენობა.

ტელეფონი: 95-72-07

**იჩქარეთ, მიიღოთ მეორე სპეციალობა!!!**

თუ გაწუხებთ შინაგანი ორგანოების (ღვიძლი, თირკმელები, კუჭ-ნაწლავი) დაავადებები, აგრეთვე ჭარბთმიანობა, ქერტლი, თმის ცვენა, ქავილი, ან გსურთ უბრალოდ გაიკაჟოთ თქვენი ჯანმრთელობა, ჩვენ გირჩევდით დამშვიდდეთ და შეეხმიანოთ სახალხო მედიცინის ჭეშმარიტ ჯადოქარს ქ-ნ დარიკო ნანობაშვილს.

იგი კურნავს მხოლოდ მცენარეებითა და ყვავილებით. მისი მეთოდები მრავალგზის აპრობირებულია და, რაც მთავარია, არ ეწინააღმდეგება სამედიცინო პრაქტიკას.

დაიხსომეთ ეს ტელეფონი — 38-74-01. ქ-ნი დარიკო განიცდის არა პაციენტთა ნაკლებობას, არამედ თქვენს ავადობას, რაშიც მისი უანგარობითაც დარწმუნდებით.

**ვცვლი**

4-ოთახიან ლვოვის პროექტის ტელეფონიან სუფთა ბინას 9 სართულიანი სახლის მე-2 სართულზე ვარკეთილი-3 I მიკრორაიონიდან (მეტროსთან ახლოს) სამოთახიან ბინაზე დიღმის მასივში, სანზონაში, სამგორის, ისნის, ავლაბრის, 300 არაგველის მეტროებთან ახლოს ან კერძო, ეზოიან სახლზე.

ტელ: 93-18-41, 73-96-26

**ვყიდი**

ავტომანქანა ჟიგული 01-ს, 1976 წ. გამოშვება, ნორმალურ მდგომარეობაში. ფასი 500 დოლარი.

ტელ. 93-18-41, 73-96-26

**ვყიდი**

300 წიგნისაგან შემდგარ ბიბლიოთეკას მკვლევარი ისტორიკოსისათვის ან ფილოლოგისათვის. (წიგნები საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, ქართველურ ენების, ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგებში).

ფასი 80$.

დარეკეთ: 98-22-80 ან 68-05-26

გაზეთი „საქართველო“: სამუშაოდ იწვევს გაზეთის კერძო გამავრცელებლებს. ანაზღაურება იქნება მაღალი.

ტელ: **93-18-41**

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
გელა ებანოიძე
ხათუნა კვესელავა
ირმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
60 000 კუპონი